ПРОЛЕТАРИЯНЫ ВСЕГО МИРА, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 239 (10633) | პარასკევი, 12 ოქტომბერი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

მშვიდობიანი და სამართლიანი გზით გადაიჭრას სუეცის საკითხი!

ამ დღეებში მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობის ყურადღება მიპყრობილია უშიშროების საბჭოს მუშაობისადმი, რომელიც განიხილავს სუეცის საკითხს. ახლა, როცა დამთავრდა საერთო დისკუსია და გამოვიდნენ საბჭოთა კავშირის, ეგვიპტის, ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები, შეიძლება შევაჯამოთ საბჭოს მუშაობის ამ პირველი ეტაპის ზოგიერთი შედეგები.

უშიშროების საბჭოს მუშაობის მსვლელობაში მთელი სიცხადით გამოვლინდა სხვადასხვა მიდგომა სუეცის პრობლემის გადაჭრისადმი. საერთო დისკუსიამ თვალნათლივ დაგვანახვა, რომ ინგლისის, საფრანგეთის, შეერთებული შტატების წარმომადგენლებს ხელი არ აუღიათ სუეცის საკითხში ზეგავლენისა და მუქარის პოლიტიკაზე, რომელიც უგულებელყოფს და ფეხქვეშ თელავს ეგვიპტის სახელმწიფოს სუვერენულ უფლებებს.

ცნობილია, რომ სუეცის არხის კომპანიის ნაციონალიზაციამ, რაც ეგვიპტემ ორთვენახევრის წინათ განახორციელა, დასავლეთის სახელმწიფოთა მეტად ნერვული გამოხმაურება გამოიწვია. მათ ეგვიპტის ტერიტორიის მისადგომებზე თავი მოუყარეს მნიშვნელოვან სამხედრო-საზღვაო, სამხედრო-საჰაერო და სახმელეთო ძალებს, აშკარად დაემუქრნენ ეგვიპტეს შეიარაღებული შეჭრით. ეგვიპტის წინააღმდეგ გამოიყენეს ეკონომიური სანქციები, რომლებსაც, ისევე როგორც ინგლისისა და საფრანგეთის საომარ მზადებას, სავსებით დაუჭირეს მხარი შეერთებულმა შტატებმა. ბუნებრივია, რომ მთელმა ამ მოქმედებამ უაღრესად საშიშარი ვითარება შექმნა ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში.

მოქმედებდნენ რა დაშინებისა და მუქარის მეთოდებით, დასავლეთის სახელმწიფოები ამავე დროს ცდილობდნენ თავს მოეხვიათ ეგვიპტისათვის სუეცის პრობლემის სხვადასხვა „გადაჭრა“, რომლებიც სასურველი იყო მათთვის. შემუშავებულ იქნა ეგრეთწოდებული „დალესის გეგმა“, შემდეგ კი გაჩნდა „სუეცის არხით მოსარგებლეთა ასოციაციის“ შექმნის პროექტი, რომელსაც აგრეთვე აჩქდა შტამპი „გაკეთებულია ამერიკის შეერთებულ შტატებში“. ეს პროექტები ფორმით სხვადასხვა, მაგრამ არსებითად ერთნაირი იყო — ეს იყო კოლონიზატორული მიდგომა ეგვიპტისადმი, მისწრაფება იმისადმი, რომ სამუდამოდ წაერთმიათ მისთვის სუეცის არხის — ეგვიპტის განუყოფელი ტერიტორიის მართვა.

სავსებით გასაგებია, რომ პროექტები, რომელთა მიზანია ეგვიპტის სახელმწიფოს სუვერენიტეტის ლიკვიდაცია, უარყო ეგვიპტის მთავრობამ, ამ პროექტებმა მარცხი განიცადა.

განვლილმა ორთვენახევარმა მთელ მსოფლიოს დაანახვა, რომ სრულიად უსაფუძვლოა დასავლეთის სახელმწიფოთა ცდები ძალის საშუალებით გადაჭრან სუეცის საკითხი. მათმა მუქარამ ეგვიპტის მიმართ სერიოზული ოპოზიცია გამოიწვია ამ ქვეყნების შიგნით, დიდად ააღლვა მსოფლიოს ყველა ქვეყნის ფართო საზოგადოებრივი წრეები. ფართო საზოგადოებრიობამ დაგმო „ძალის პოზიციის“ პოლიტიკა და მოითხოვა, რომ მშვიდობიანად გადაიჭრას სუეცის საკითხი მოლაპარაკების გზით.

თითქოს დადგა დრო, რომ დასავლეთის სახელმწიფოები სუეცის საკითხს მისდგომოდნენ რეალისტურად, გაეთვალისწინებინათ საერთაშორისო ვითარება. მაგრამ ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრების სიტყვები უშიშროების საბჭოში, აგრეთვე ინგლის-საფრანგეთის რეზოლუციის პროექტი, რომელსაც სავსებით დაუჭირა მხარი დალესმა, მოწმობენ, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა წარმომადგენელნი არ ისწრაფვიან, რომ სუეცის საკითხი დადებითად გადაიჭრას სამართლიან საფუძველზე.

ინგლის-საფრანგეთის რეზოლუციის პროექტი აშკარად პროვოკაციული ხასიათისაა და უფრო შორს მიდის, ვიდრე დასავლეთის სახელმწიფოთა წინადადებანი, რომლებიც მას წინ უძღოდნენ, რადგან იგი მოითხოვს, რომ ეგვიპტის საშინაო საქმეებში ჩარევა გაამართლონ უშიშროების საბჭოს მაღალი ავტორიტეტით.

ცდილობენ რა თავს მოახვიონ ეს რეზოლუცია უშიშროების საბჭოს, ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებმა ერთხელ კიდევ ცხადყვეს თავიანთი პოზიციის კოლონიზატორული არსი. დამახასიათებელია, რომ მათ განსაკუთრებული იერიში მიიტანეს ყველა სახელმწიფოს სუვერენული უფლების პრინციპის წინააღმდეგ — დამრუკიდებლად და გარედან სრულიად ჩაურევლად განაგონ თავიანთი საშინაო საქმეები, პრინციპისა, რომელიც დადასტურებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით.

უშიშროების საბჭოში საერთო დისკუსიამ ამასთანავე დამაჯერებლად დაგვანახვა, რომ ყველა პირობა არსებობს სუეცის საკითხის მშვიდობიანი და სამართლიანი გადაჭრისათვის. ასეთ გადაჭრას საფუძვლად უნდა ედოს იმის უთუო აღიარება, რომ ეგვიპტეს უფლება აქვს მოახდინოს სუეცის არხის კომპანიის ნაციონალიზაცია, რაც ეგვიპტის სახელმწიფოს საშინაო საქმეა. ასეთ გადაწყვეტილებას საფუძვლად უნდა ედოს სუვერენული ეგვიპტის სახელმწიფოს ინტერესებისა და სუეცის არხით მოსარგებლეთა ინტერესების სწორი შეხამება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა გამონახოს ასეთი გადაჭრა.

სუეცის საკითხის მოსაწესრიგებლად მით უფრო ხელსაყრელი პერსპექტივებია, რომ ეგვიპტემ საქმით დაამტკიცა თავისი ერთგულება საერთაშორისო შეთანხმებებისადმი სუეცის არხში ნაოსნობის თავისუფლების შესახებ, რომელიც ნამდვილად წარმოადგენს საერთაშორისო პრობლემას, და უზრუნველყო არხის ნორმალური და შეუფერხებელი მუშაობა, მიუხედავად დასავლეთის იმპერიალისტური წრეების ყველა დაბრკოლებისა და პროვოკაციისა. ეგვიპტის მთავრობას არასოდეს არ უთქვამს უარი—წავიდეს მოლაპარაკების გზით, რათა გამოინახოს სამართლიანი გადაჭრა სუეცის კრიზისისა, რომელიც ხელოვნურად გამოიწვია და გაბერა ზოგიერთმა სახელმწიფომ. ეს კვლავ დადასტურა ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრის მ. ფაზზის გამოსვლამ უშიშროების საბჭოში.

შექმნილ პირობებში, როცა მთელი მსოფლიოს ხალხები მოითხოვენ რაც შეიძლება მალე მოწესრიგდეს სუეცის საკითხი და ამ მხრივ დიდ იმედს ამყარებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაზე, უშიშროების საბჭო უნდა დაადგეს გზას, რომელიც ასახავს დროის სულისკვეთებას და იმ დიდ ცვლილებებს, რომლებიც მსოფლიოში მოხდა ამ უკანასკნელი ათი წლის მანძილზე. საბჭოთა მთავრობის აზრით, უშიშროების საბჭოს ამოცანა ის არის, რომ ხელი შეუწყოს სუეცის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრის გზების გამონახვას და არ დაუშვას ახლო აღმოსავლეთში ვითარების შემდგომი გამწვავება. ამის გაკეთება არა მარტო შესაძლებელია, არამედ აუცილებელიც არის.

უშიშროების საბჭოში წარმოთქმულ სიტყვაში სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა დ. ტ. შეპილოვმა საბჭოთა მთავრობის სახელით შეიტანა სუეცის პრობლემის გადაჭრის კონკრეტული გეგმა. უწინარეს ყოვლისა, თქვა მან, უარი უნდა თქვან ულტიმატუმების, ომის მუქარისა და ეკონომიური ზეგავლენის პოლიტიკაზე. ეგვიპტე დამოუკიდებელი ქვეყანაა, იგი მოითხოვს და უფლებაც აქვს მოითხოვოს—პატივი ცეან მის სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტსა და ეროვნულ ღირსებას.

საბჭოთა მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია შეიქმნას უშიშროების საბჭოს ავტორიტეტული კომიტეტი სუეცის საკითხის შესახებ მოლაპარაკების საწარმოებლად თანასწორუფლებიან საფუძველზე სრულიად უდისკრიმინაციოდ. კომიტეტი მოვალეა დაწესებულ ვადაში მოახსენოს უშიშროების საბჭოს, თუ რა შედეგები მოჰყვა მოლაპარაკებას სუეცის საკითხის მოწესრიგებისათვის მისაღები საფუძვლის გამონახვისა და შეთანხმების მიღწევის შესახებ. შეიძლება ამავე კომიტეტს დაეკისროს მომზადება ფართო საერთაშორისო კონფერენციის მოწვევისა სუეცის არხით მოსარგებლე ყველა ქვეყნის მონაწილეობით. ეს კონფერენცია განიხილავდა და დაამტკიცებდა ახალ კონვენციას, რომელიც უზრუნველყოფს სუეცის არხში ნაოსნობის თავისუფლებას.

იუგოსლავიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯ. პოპოვიჩმა, რომელიც გამოვიდა საერთო დისკუსიის უკანასკნელ დღეს, მხარი დაუჭირა საბჭოთა წინადადებას, რომ შეიქმნას მოლაპარაკების სპეციალური კომიტეტი. „ჩვენ მიგვაჩნია,—თქვა მან,—რომ ეს კომიტეტი ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ უზრუნველყოფილ იქნას მისი მაქსიმალური ობიექტურობა და ეფექტიანობა“.

წინადადებანი, რომლებიც საბჭოთა კავშირმა შეიტანა უშიშროების საბჭოში, მხურვალედ მოიწონეს ბევრი ქვეყნის საზოგადოებრიობის ფართო წრეებმა, ყველამ, ვინც გულწრფელად ესწრაფვის მშვიდობის განმტკიცებას ახლო აღმოსავლეთში.

მშვიდობისმოყვარე საზოგადოებრიობას იმედი აქვს, რომ უშიშროების საბჭო, გამოიჩენს რა კონსტრუქციულ მიდგომას, შეძლებს მიაღწიოს სუეცის პრობლემის გადაჭრას.

„პრავდის“ 11-X მოწინავე.

საბჭოთა საქართველოს დღე

★ ★ ★

საოქტომგრო სოციალისტური შეჯიგრეგა

მძიმე წონის მაჯარებლებით



ჩვენი დეპოს კოლექტივმა ჯერ კიდევ აგვისტოს შუა რიცხვებიდან დაიწყო მზადება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 39-ე წლის აღსანიშნავად და გადიდებული ვალდებულებები იკისრა.

თავდადებული შრომის შედეგად დეპოს კოლექტივმა დღეისათვის უკვე მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა აღებული ვალდებულებების შესრულებაში. მკვეთრად გაიზარდა ტვირთზიდვა. 15,9 კილომეტრით გადიდდა სადღეღამისო გარბენა, 1.009 მძიმე წონის მატარებლით ნორმის ზევით გადავზიდეთ 271.353 ტონა სახელმწიფო ტვირთი, 12,3 პროცენტით გავზარდეთ შრომის ნაყოფიერება. შეჯიბრებაში დაწინაურდნენ მძიმეწონოსანი მემანქანეები: მ. ზარნაძე, შ. ჯაკალაშვილი, ო. დანგაძე, პ. არეკაძე, გ. ლიკლიკაძე, გ. ბოგვერაძე და სხვ., რომლებსაც ყოველთვიურად ნორმის გადამეტებით გადაქვთ ათასობით ტონა ტვირთი.

მე პირადად დიდი ოქტომბრის დღეს ასწაულის აღსანიშნავად აღებული მაქვს ვალდებულება სადღეღამისო გარბენა გავზარდო 15 კილომეტრით, ტექნიკური სიჩქარე საათში 4 კილომეტრით და დავზოგო 4.350 კილოვატსაათი ელექტროენერგია, აგრეთვე დავზოგო საცხი და საწმენდი მასალების 63 პროცენტი.

სექტემბერში დიდი გადაჭარბებით შეგასრულე ნაკისრი ვალდებულებები: საშუალო სადღეღამისო გარბენა გავადიდე 38 კილომეტრით, ტექნიკური სიჩქარე საათში 13,5 კილომეტრით, დიდი რაოდენობით დავზოგე ელექტროენერგია და საცხი მასალა. გადავიყვანე 16 მძიმე წონის მატარებელი და ნორმის ზევით გადავიტანე 7.850 ტონა ტვირთი.

დღესასწაულამდე დარჩენილ დროს ჩვენი დეპოს კოლექტივი და პირადად მე გამოვიყენებთ იმისათვის, რომ მოვიპოვოთ ახალი წარმატებები, გადავიყვანოთ რაც შეიძლება მეტი მძიმე წონის მატარებელი, პირნათლად შევეხვდეთ ოქტომბრის დიად დღესასწაულს.

გ. ჩიტიაშვილი,
თბილისის საელმავლო დეპოს მძიმეწონოსანი მემანქანე.

• • •

სურათებზე: ზევით — მემანქანე გ. ჩიტიაშვილს მიყავს მძიმე წონის მატარებელი; ქვევით გ. ჩიტიაშვილი ელმავლის საქეხთან.

ფეროშენადნობთა ქარხანაში

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივი ენერგიულად იბრძვის ოქტომბრის რევოლუციის 39-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

ქარხნის კოლექტივმა ოქტომბრის პირველი ხუთი დღის სახელმწიფო დავალება 104,8 პროცენტით შეასრულა და მნიშვნელოვნად აამაღლა შრომის ნაყოფიერება.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა № 1 საამქროს კოლექტივი, რომელმაც ხუთი დღის დავალება 105,2 პროცენტით შეასრულა. კარგად იმუშავა № 2 საამქრომაც, სადაც ხუთდღიური გეგმა 103,6 პროცენტით არის შესრულებული.

პირველ საამქროში ბ. გამგებელის ბრიგადამ, რომელიც სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული ზაპოროჟიეს ფეროშენადნობთა ქარხნის გრიგოლ მეშკოვის ბრიგადასთან, ხუთი დღის საწარმოო დავალება 115,9 პროცენტით გაანაღდა და დაზოგა 8.500 კილოვატსაათი ელექტროენერგია.

კარგი მაჩვენებლები აქვთ აგრეთვე ი. ჯუღელის, გ. კვიტინიძის, ს. ვერულაშვილის, ვ. ხუჯაძის, დ. ღვინჯილიას, ვ. კაპანაძის და ა. მაღლაკელიძის ბრიგადებს.

წლიური გეგმა 7 ნოემბრისათვის

სამამულო ომის ბევრი ინვალიდი ეუფლება პროფესიას საქართველოს სსრ სოციალისტურ-ფედერალისტების სამინისტროს სასწავლო-საწარმოო ტექნიკურ სკოლაში, სადაც მათთვის შექმნილია ყოველგვარი პირობები სპეციალობის არჩევისა და დაუფლებისათვის. ბევრმა უკვე დაამთავრა სწავლა და შეუდგა შრომითს საქმიანობას. ზოგი მათგანი აქვე დარჩა და მუშაობას განაგრძობს ფეხსაცმლის, ტანსაცმლის, საფეიქრო საამქროებში. ამ საამქროთა კოლექტივებმა საერთო პროდუქციის გამოშვების ცხრა თვის გეგმა 100,4 პროცენტით შეასრულეს. გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მისცეს 150 ათას მანეთისაზე მეტი პროდუქცია, 0,4 პროცენტით გაზარდეს შრომის ნაყოფიერება.

ოქტომბრის დღესასწაულთან დაკავშირებით სკოლამ ვალდებულება აიღო წლიური გეგმა შეასრულოს 7 ნოემბრისათვის, შრომის ნაყოფიერება გაზარდოს სამი პროცენტით.

ურთიერთშორის სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის საამქროები. მოწინავე მუშებმა ი. პაპიაშვილმა, ა. კავანიანმა, ვ. ჭიტაძემ, რომლებიც დავალებებს 140-200 პროცენტით ასრულებენ, ვალდებულება აიღეს კიდევ უფრო გაზარდონ თავიანთი მაჩვენებლები.

ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის ბრძოლა წარმატებით მიმდინარეობს. ფეხსაცმლის საამქროს ვალდებულება უკვე გაანაღდა — წლიური გეგმა დღეისათვის 134 პროცენტით შეასრულა.

ილიჩის ნათურები საკოლმეურნეო სოფლებში

ტყიბული, (საკ. კორ.). ტყიბულში ონში მნიშვნელოვანი ელისძიებები განხორციელდა საკოლმეურნეო სოფლების ელექტროფიკაციის დარგში. ციხისა და ბობოთის მშრომელებმა ორპირის ელექტროქვესადგურიდან გაიყვანეს ელექტროდენის გადამცემი ხაზი, ააგეს სატრანსფორმატორო კიოსკები. ამჟამად ამ სოფლების ასობით კოლმეურნის სახლი, საკოლმეურნეო კანტორა, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები და სხვ. ილიჩის ნათურებით არის გაჩირაღდნებული.

ამ დღეებში ელექტროდენის გადამცემი ხაზი გაიყვანეს რაიონის მაღალმთიან სოფელ მუხურაში. ყველაზე პირველად ელექტროშუქით გაანათეს სასოფლო კლუბი. სულ მალე შუქი გაყვანილ იქნება სასოფლო საბჭოში, სკოლაში, საავადმყოფოში, საკოლმეურნეო კანტორასა და კოლმეურნეთა სახლებში.

დაწყებულია და ახლო მომავალში დამთავრდება სოჩხეთისა და ცოცხვათის საკოლმეურნეო სოფლების მთლიანი ელექტროფიკაცია.

დახმარება მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს

ზუგდიდი. (საკ. კორ.). რაიონში მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს სახელმწიფო დახმარების სახით მიმდინარე წელს მიეცა 1.567.500 მანეთზე მეტი, აქედან ერთდროული დახმარება 374.650 მანეთი.

სოფელ რუხის კოლმეურნეს დინარა ღურწკაიას 11 შვილი ჰყავს. იგი ყოველწლიურად დიდ დახმარებას იღებს სახელმწიფოსაგან. მან წელს სახელმწიფოსაგან დახმარების სახით დღემდე 25.775 მანეთი მიიღო.

სოფელ ჩხორიას ქადანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრს ოლია ჯანჯღავას, რომელიც 10 შვილის დედაა, სახელმწიფოსაგან მიღებული აქვს დახმარება 16 ათას მანეთზე მეტი.

სახელმწიფოსაგან დიდ დახმარებას იღებენ მრავალშვილიანი დედები — სოფელ კოკის მცხოვრები მ. ჩიქავა, სოფელ განმუხურის მცხოვრები ვ. საჯაია, სოფელ კორცხელის მცხოვრები კ. შეველი და სხვები.

ავანსები შრომადღეებზე

ჩხოროწყუ. (საკ. კორ.). ხაბუმის კალინინის სახელობის კოლმეურნეობა დღითიდღე ძლიერდება ეკონომიურად. კოლმეურნეთა ცხოვრება უმჯობესდება. წელს აქ განხორციელდა ავანსის გაცემის ახალი წესი. კოლმეურნეებს 1 იანვრიდან 1 აგვისტომდე გამომუშავებულ თვითეულ შრომადღეზე ავანსად მისცეს 22 მანეთი.

კოლმეურნე ჩაქა ჩიქოვანის ოჯახს ავანსად ხვდა 16.324 მანეთი, ჭიკოო შენგელიას ოჯახს — 17.644, მოცო შენგელიას ოჯახს — 14.366 მანეთი და სხვ. შემდგომში ავანსირება ყოველთვეში განხორციელდება.

სამეცნიერო-საკვლევ ლაბორატორიებში

ჰიდროენერგეტიკოსი მუშენებლების დაკვეთით

რა არის სწრაფდენი? — ეს არის ხელოვნური წყალვარდნილისათვის გაკეთებული ღარისებრი ნაგებობა, თუმცა მთლად ვერტიკალური პროფილისა არა, მაგრამ საგრძნობლად დაქანებული, რომელსაც ჩვეულებრივად იყენებენ ჰიდროელექტროსადგურების საწნეო მილსადენების განთავისუფლების აუცილებლობისას, წყლის გადასაგდებად.

ერთ-ერთმა ასეთმა სწრაფდენმა სამგორში საცხენისჰესის მშენებლებს ბევრი უსიამოვნება მიაყენა: არხით წამოსული ივრის წყალი სწრაფდენით ისეთი სიმძლავრით ვარდებოდა ძირს, რომ მიწას ზანზარი გაჰქონდა, ე. წ. მიმღებ ჭაში წყალი ჰქუხდა, ტალღები ბეტონის კედლებს ასკდებოდნენ, არემარეს მხეფებით ფარავდნენ და მათგან წარმოქმნილი რუები ქვემოთ წანწკარით მიედინებოდნენ. ასეთ მდგომარეობაში სწრაფდენის დატოვება შეუძლებელი იყო, რადგან დროთა განმავლობაში გადმოვარდნილი წყლის სტიქიური ძალა თავის გზაზე ყველაფერს მიანგრ-მოანგრევდა.

თუ ასეთი ამბავი დაწყნა ნაგებობას შედარებით პატარა სწრაფდენმა, რომელიც მხოლოდ რამდენიმე კუბმეტრ წყალს ატარებდა, რა მოსალოდნელობა იქნებოდა ტყიბულჰესის სწრაფდენზე, რომელიც საცხენისის სწრაფდენს როგორც სიდიდით, ისე წყალგამტარიანობის მხრივ 10-15-ჯერ აღემატება. ტყიბულჰესი, როგორც ცნობილია, სულ ახლო მომავალში უნდა ამუშავდეს. მისი სწრაფდენი, ერთ-ერთი უდიდესი და უმძლავრესი მთელ რესპუბლიკაში, უკვე აგებული, გამოცდილი და საექსპლოატაციოდ გამზადებულია. საგრძნობლად დიდი მდინარისოდენა წყალი გაუშვეს ამ სწრაფდენით, მაგრამ სწრაფდენის ციცაბო კალაპოტით გადმოვარდნილი წყალი მიმღებ ჭაში მშვიდად ჩადიოდა. არც ზანზარი, არც ტალღები და არც შხეფები არ იყო, გადმოვარდნილი წყლის ძალა ჭაში ქრებოდა. როგორ, რა საშუალებით?

თვეების, წლების განმავლობაში იმუშავეს ამ საშუალების გამოსანახავად ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის თბილისის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ჰიდროტექნიკურ ლაბორატორიაში (ლაბორატორიის ხელმძღვანელი ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ლ. გველესიანი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატები ა. ფედოროვი, ა. ჭანიშვილი). ააგეს ტყიბულჰესის სწრაფდენის მოდელი, გაუშვეს აღებული მასშტაბის შესაბამისი რაოდენობის წყალი და დაიწყეს გადმოვარდნილი წყლის ძალის ჩაქრობის საშუალების ძიება.

უწინარეს ყოვლისა საჭირო იყო სწრაფდენზე გაშვებული წყლის ხასიათის შესწავლა. აღმოჩნდა, რომ აერაციის შედეგად სწრაფდენზე გადმოშვებული წყალი წარმოშობს მბორავ ტალღებს, რომლებიც თავის გზაზე და მიმღებ ჭაში ჩავარდნისას ავითარებენ დიდ დამანგრეველ ენერგიას. მაშასადამე, საჭირო იყო მბორავი ტალღების აღკვეთა, მაგრამ როგორ? როცა სწრაფდენი ღიაა, ჰაერი წყალს უთუოდ შეეხება.

— იქნებ სხვა საშუალებაა რაიმე? წყლის ძალის ჩაქრობის საშუალება ჰიდროტექნიკოსებმა, რასაკვირველია, იციან, მაგრამ ამ ცნობილ საშუალებათა გამოყენება სახელმწიფოს ძვირად უჯდება. ჩვენ კი გვინდოდა ისეთი სიახლის გამონახვა, — ამბობს ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი გ. ჯიმშელეიშვილი, — რომ ეკონომიაც ვიგვეღო, სახელმწიფოსათვის მილიონობით მანეთი თანხა დაგვეზოგა და ტექნიკურადაც საკითხი დადებითად გადაგვწყვიტა.

ბევრჯერ დაშალეს მოქმედი მოდელი, ხელახლა გააკეთეს და ბოლოს წამოიჭრა ახალი იდეა:

— შევცვალოთ სწრაფდენის განივი პროფილი!

კიდევ ერთხელ დაშალეს მოდელი, გააკეთეს ახალი სწრაფდენი, რომელსაც ტრაპეციული განივი მოყვანილობის ნაცვლად სამკუთხედი ფორმა მისცეს. გაუშვეს წყალი და... იგი მშვიდად, წყნარად ჩავიდა მიმღებ ჭაში.



ჰიდროტექნიკურ ლაბორატორიაში. გუმათის პირველი ჰიდროელექტროსადგურის სათავის ნაგებობათა კვანძის მოქმედი მოდელი.

საკითხი ტექნიკურად უკვე გადაჭრილი იყო. მგორავ ტალღათა წარმოქმნა აღკვეთილი იქნებოდა, მაგრამ დარჩა კიდევ ერთი საკითხი.

სწრაფდენიდან გადმოშვებული ან თუნდაც ჩვეულებრივი კაშხალიდან გადასული წყალი ე. წ. ქვემო ბიეფში ავითარებს დიდ რეცხვითს ძალას. ეს ძალა იმდენად უფრო დიდია, რამდენადაც მეტი წყალი, მეტი სისწრაფით და კონცენტრაციით გადმოდის. ამიტომ ჰიდროტექნიკოსები ყოველთვის ცდილობენ, რომ კაშხალიდან გადმოღვრისას წყლის მასამ თავისი რეცხვითი დამანგრეველი ძალა კაშხალთან არ განავითაროს. ასევე — სწრაფდენთან.

ეს საკითხიც წარმატებით გადაჭრეს ლაბორატორიის მუშაკებმა. მოქმედ მოდელზე განხორციელებულმა გამოსასვლელშივე წყლის გამფანტავმა ვირაჟმა სავსებით დაუკარგა წყალს ნიადაგის გარეცხვის უნარი. ასეთი ვირაჟული გამოსასვლელის მშენებლობა პირველად განხორციელებულ იქნა ტყიბულჰესის სწრაფდენზე. ამჟამად ლაბორატორიაში აზუსტებენ ამავე საკითხის გადაწყვეტას გუმათის პირველი ჰიდროელექტროსადგურის კაშხალის ქვემო ბიეფისათვის.

ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის თბილისის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ჰიდროტექნიკური ლაბორატორია ერთ-ერთი უდიდესი და საუკეთესოდ მოწყობილია. იგი მომსახურებას უწევს საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, ჩრდილოეთ კავკასიის, შუა აზიისა და საბჭოთა კავშირის მთელი რიგი სხვა კუთხეების ჰიდროენერგეტიკის მშენებლებს ახალი საკითხების გადაწყვეტით, ჰიდროტექნიკურ მშენებლობაში სიახლეების შეტანით.

დ. ლომთაძე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ინფორმაციული ბიულეტენი

ყაზახეთის კომპარტიის ჩრდილოეთ ყაზახეთის საოლქო კომიტეტსა და საოლქო აღმასკომს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო კმაყოფილებით აღნიშნავენ მუშაობას, რომელიც ჩრდილოეთ ყაზახეთის ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა შეასრულეს მარცვლეულის წარმოების გასაადიდებლად. ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მოკლე ვადაში მნიშვნელოვნად გაადიდეს მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობები, წელს კარგი მოსავალი მოიყვანეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 82 მილიონი ფუთი პური.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ჩრდილოეთ ყაზახეთის ოლქის კოლმეურნეებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, პარტიულ და საბჭოთა მუშაკებს და ყველა მშრომელს ულოცავენ მოპოვებულ წარმატებას და რწმენას გამოთქვამენ, რომ ისინი კვლავაც მტკიცედ იმუშავებენ მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

პარტიული ცხოვრება

მეცხოველეობის პროდუქტიულობის შემდგომი გაღიდებისათვის

სოფელ ინგირის სტალინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელი მრავალდარგოვანი მეურნეობაა. აქ ჩაის კულტურასთან ერთად წამყვან დარგს წარმოადგენს მეცხოველეობაც. წინათ საზოგადოებრივ მეცხოველეობას ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა, რის გამო მეურნეობის ეს დარგი ძალიან ჩამორჩებოდა. ამ მდგომარეობის გამოსწორებას კოლმეურნეობის გამგეობასთან ერთად ხელი მოჰკიდა პარტიულმა ორგანიზაციამ.

უწინარეს ყოვლისა, პარტიულმა ორგანიზაციამ სერიოზული ყურადღება მიაქცია პირუტყვის ბინების მშენებლობას. 1955 წელს აშენდა კეთილმოწყობილი საძროხე 120 სულისათვის, სადაც შრომატევადი სამუშაოები — საკვების შემზადება და მიწოდება, რწყულება — მექანიზებულია. საძროხეებთან არის საშობიარო და სახბორე განყოფილებებიც. ამჟამად პირუტყვი მთლიანად უზრუნველყოფილია საუკეთესო ბინებით.

პარტიული ორგანიზაციის ინიციატივით ფერმებში სამუშაოდ გაიგზავნენ კომუნისტები, კომკავშირელები, მეცხოველეობის საქმის მცოდნე კოლმეურნეები. ამან დიდად შეუწყო ხელი ფერმებში შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებას და დისციპლინის განმტკიცებას.

მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზით უზრუნველყოფა პარტიული ორგანიზაციის და კოლმეურნეობის გამგეობის ყოველდღიური ზრუნვის საგნად გადაიქცა. წელს დაითესა 10 ჰექტარი საკვები ბაღჩეული და გოგროვანი, აგრეთვე 50 ჰექტარი სასილოსე კულტურები. ახლა წარმატებით მიმდინარეობს საკვების დასილოსება იმ ანგარიშით, რომ თვითეულ საფურაჟე ძროხაზე დამზადებულ იქნას სულ მცირე 5-6 ტონა სილოსი.

პირუტყვის საუკეთესოდ მოვლა-პატრონობის შედეგად ამაღლდა პროდუქტიულობა. შარშანდელთან შედარებით 1 ოქტომბრამდე 161 საფურაჟე ძროხიდან თვითეულზე მიღებულ იქნა 135 კილოგრამით მეტი რძე.

მეცხოველეთა ბრიგადამ, რომელსაც კომუნისტი ე. გვაჯაია ხელმძღვანელობს, 1 ოქტომბრისათვის საშუალოდ ერთ ძროხაზე მოწველა 1.450-ზე მეტი კილოგრამი რძე ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 1.050 კილოგრამისა. კომუნისტ შ. ცაავას ბრიგადამ ამავე დროისათვის კოლმეურნეობას 9.400 კილოგრამით მეტი რძე მისცა, ვიდრე წლიური გეგმით იყო გათვალისწინებული.

კოლმეურნეობის მოწინავე მეცხოველეებს შორის სახელი გაითქვა ეკატერინე პაზიჩიმ. მოსავლელად მიჩენილი 11 ძროხიდან 11 თვეში მან თვითეულზე საშუალოდ მიიღო 2.310 კილოგრამი რძე, რაც 765 კილოგრამით აღემატება წლიურ დავალებას. უფრო მაღალ მაჩვენებლებს მიაღწია ცალკეული ძროხებიდან. მაგალითად, ლაქტაციის პერიოდში ძროხა „მაიკამ“ მოიწველა 2.660 კილოგრამი რძე. საუკეთესო წარმატებები აქვთ მწველავებს ვანო ჩანგულიას, მოკიდი ქობალიას, ვლადიმერ და ბაჯო ქვარაცხელიებს, ი. გაბედავას და სხვებს.

კოლმეურნეობაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პირუტყვის ჯიშობრივ გაუმჯობესებას. ამჟამად 161 ძროხიდან მაღალპროდუქტიულია 119. ამავე დროს ვზრუნავთ ღორის ხორცის წარმოების გადიდებისათვის. მეღორეობის ფერმის დასაკომპლექტებლად შეძენილია 30 თეთრი მსხვილი ჯიშის დედაღორი. მეღორეები ვ. გაბისონია, მ. მიროშენკო და სხვები წარმატებით ასრულებენ ნამატის მიღებისა და გაზრდის გეგმებს.

პარტიული ორგანიზაციისა და გამგეობის მიერ უკანასკნელ წლებში გაწეული მუშაობის მეოხებით მეცხოველეობა შემოსავლიან დარგად გადაიქცა. წელს მარტო მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმიდან მიღებულ იქნება 450.000 მანეთი შემოსავალი, მთლიანად მეცხოველეობიდან კი — 600.000 მანეთზე მეტი.

ფერმებში სააგიტაციო მუშაობას ეწევა 4 აგიტატორი. ისინი თავიანთ საუბრებს უნარიანად აკავშირებენ კოლმეურნეობის სამეურნეო საქმიანობასთან. აგიტატორების მუშაობა მიმართულია იქითკენ, რომ კოლმეურნეები წარმატებით წყვიტდნენ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების ამოცანას. ბაგურ ქვებაზე მყოფი პირუტყვის ფერმაში მოწყობილია აგიტპუნქტი, სადაც სისტემატურად იმართება საუბრები და ლექციები, პერიოდულად გამოდის კედლის გაზეთი. დაწესებულია გარდამავალი წითელი დროშა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული ფერმებისა და ბრიგადებისათვის, გვაქვს მოწინავე მეცხოველეთა საპატიო დაფა.

ამჟამად პარტიული ორგანიზაციის მთელი ყურადღება მიმართულია საზოგადოებრივი პირუტყვის სანიმუშოდ გამოზამთრებისაკენ. დამზადებულია და ფერმასთან მოზიდულია 500 ტონაზე მეტი თივა. დამთავრებულია სადგომების რემონტი. პირუტყვი ზამთარში მთლიანად უზრუნველყოფილი იქნება უხეში, წვნიანი და კონცენტრირებული საკვებით.

ინგირელი კოლმეურნეები თავდადებით შრომობენ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდებისათვის.

თ. ლოლუა,

ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის გამგე, პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი.

საინკუბატორო სადგური

გორის საინკუბატორო სადგურმა წარმატებით დაამთავრა წიწილების გამოჩეკის მიმდინარე წლის სეზონი. აქ გამოყვანილ და გორისა და კასპის რაიონების კოლმეურნეობებისათვის მიყიდულ იქნა 1.820 ფრთა წიწილა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.620 ფრთისა.

ამჟამად საინკუბატორო სადგურში მთელი ენერგიით მუშაობენ იმისათვის, რომ გაასუქონ და მთლიანად შეინარჩუნონ 9.000 ფრთა წიწილა. კარგი მოვლის შედეგად ორი თვის ასაკის წიწილა 550 გრამს იწონის.

სურათზე: საინკუბატორო საამქროს გამგე ზოია ზუბცოვა საკვებს უყრის ქათმებს.

ფოტო შ. კუკულავისა.

საწარმო ეხმარება კოლმეურნეობას

როცა „ავტოელექტრომონტაჟის“ თბილისის საგონტაჟო სამმართველოს მუშაკები მარტყოფის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას ესტუმრნენ, იქ გამგეობის სხდომა იყო დანიშნული. სხდომას სტუმრებიც დაესწრნენ. გამგეობის წევრებმა ყურადღება გაამახვილეს მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის საკითხზე. სასოფლო-სამეურნეო არტელის წინაშე სერიოზული სიძნელეები იდგა. სილოსის ჩაყრის დრო ახლოვდებოდა, ხოლო თუ კოლმეურნეობა საკუთარი ძალებით დაიწყებდა სასილოსე კოშკების აგებას, მაშინ საფრთხის წინაშე მიწდგრის სამუშაოები აღმოჩნდებოდა.

საშეფო ორგანიზაციის წარგზავნილებმა დახმარება აღუთქვეს კოლმეურნეობას. მალე სოფელს მემონტაჟეთა და მექანიკოსთა ბრიგადა ეწვია. მათ ადგილზე შეისწავლეს, თუ რამდენი სასილოსე კოშკი უნდა დაედგა კოლმეურნეობას, რა ტევადობისა და სად. მალე სასილოსე კოშკი დადგმულ იქნა კოლმეურნეობაში.

ამის შემდეგ საშეფო ორგანიზაციისა და კოლმეურნეობას შორის მეგობრული კავშირი კიდევ უფრო გაძლიერდა. მემონტაჟეებმა კოლმეურნეობას ელექტროსინათლე გაუყვანეს.

თბილისელი მემონტაჟეები ინტერესით ადევნებენ თვალს კოლმეურნეობის საქმიანობას, ხოლო საჭირეობის შემთხვევაში ეხმარებიან კიდეც. მემონტაჟეებს კ. ბატმანოვს, მ. ქურდაძეს, ა. ეგიევს, ვ. ოლეხს და სხვებს საკუთარი შრომითი წვლილი შეაქვთ კოლმეურნეობის შემდგომი განმტკიცებისა და კოლმეურნეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების ამაღლების საქმეში.

ბ. შეფიერული.

საბჭოთა მშენებლობა

გავამართლოთ ამომრჩეველთა ნდობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ დიდი ამოცანები დაუსახა მშრომელებს. მათ გადაწყვეტაში მშრომელთა დეპუტატების საბჭოებმა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მეტად სერიოზული როლი უნდა შეასრულონ.

ცხაკაიას რაიონული საბჭო, სასოფლო საბჭოები, საგრძნობ მუშაობას ეწევიან იმისათვის, რომ იდგნენ ახალი მოთხოვნების დონეზე, ორგანიზატორული საქმიანობის გაძლიერებით წარმატებით შეასრულონ სამეურნეო ამოცანები, აამაღლონ საკოლმეურნეო სოფლის კულტურა. ამ მუშაობაში გარკვეული მიღწევებია მოპოვებული. საბჭოების საქმიანობაში ახლა უფრო აქტიურად მონაწილეობენ დეპუტატები, აქტივისტები, რამაც განამტკიცა საბჭოების კავშირი მასებთან. მრავალი საჭირბოროტო საკითხი ახლა გაცილებით სწრაფად გვარდება, ვიდრე წინათ.

რაიონის კოლმეურნეობებში წინა წლებში დაბალი იყო საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობა. რაისაბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივმა კომისიამ აქტივის დახმარებით ადგილებზე შეისწავლა მდგომარეობა და საკითხი მოამზადა რაისაბჭოს აღმასკომის სხდომის განსახილველად. მიღებული გადაწყვეტილების განხორციელება დაეხმარა კოლმეურნეობებს ნაკლოვანებათა დაძლევაში. შხეფის სასოფლო საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივმა კომისიამ (თავმჯდომარე კოლმეურნე ა. სახოკია) ბევრი საყურადღებო, აქტიურული საკითხი დააყენა სასოფლო საბჭოს სესიაზე და მიაღწია მის გადაწყვეტას.

აქტიურად მუშაობს რაისაბჭოს ვაჭრობის მუდმივი კომისია (თავმჯდომარე შ. ხუხუა). მან არაერთი საკითხი შეისწავლა და შეიტანა რაისაბჭოს აღმასკომის სხდომის განსახილველად. მაგალითად, აგვისტოს ბოლოს კომისიამ შეამოწმა ქალაქის კვების ობიექტების მუშაობა, შედეგები განიხილა რაისაბჭოს აღმასკომმა. ეს დაეხმარა კვების ობიექტებს მუშაობის გაუმჯობესებაში.

რაიონული საბჭოს აღმასკომი მუდმივი კომისიების მოთხოვნით სისტემატურად განიხილავს რაიონის სამეურნეო და კულტურული ცხოვრების აქტუალურ საკითხებს. საბჭოების ყველა რგოლის კოლეგიალურმა მუშაობამ გააძლიერა ინიციატივა, დეპუტატების საქმიანობა. ბევრი მათგანი რაიონის მშრომელთა დიდი სიყვარულით სარგებლობს, იმიტომ, რომ ხალხის, ამომრჩეველთა მოთხოვნებს გულისხმიერად და დროულად ეხმაურება. ეს აფართოებს და კიდევ უფრო მტკიცეს ხდის მასებთან საბჭოების კავშირს.

როგორც კი სკოლების რემონტი დაიწყება, დეპუტატები ა. კანკავა, ვ. ბერაია და სხვები მხარში უდგანან სკოლების დირექტორებს, ეხმარებიან მათ. სოფელ ეკში საგზაო მშენებლობას დიდ ყურადღებას აქცევს დეპუტატი ა. ქვანია. მისი ინიციატივით 8-წლიანი სკოლის მისასვლელთან ააშენეს ახალი ხიდი, მოხრეშეს გზა. ძველსენაკილი დეპუტატის ნ. ბარამიას დახმარებით გაჭყავთ საჩიქობაოს საუბნო გზა 4 კილომეტრ მანძილზე. გზის მშენებლობა მალე დამთავრდება. ფოცხოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ დეპუტატმა გ. შონიამ დიდი წვლილი შეიტანა ქვემო ფოცხოს 8-წლიანი სკოლის გაფართოებაში. დეპუტატები კ. ხურცია, შ. კილასონია, შ. აბურჯანია და სხვები ბეჯითად შრომობენ სოფლის სამეურნეო და კულტურული წინსვლისათვის.

სასოფლო საბჭოების მუშაკები თავიანთი ამოცანების სიმაღლეზე რომ აღმოჩნდნენ, საჭიროა მათ ყოველდღიურად დავეხმაროთ. ამას რაიონული საბჭოს აღმასკომი სერიოზულ ყურადღებას აქცევს. ბევრი საბჭო კარგად ართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას, მათი მუშაობის სფერო არ შემოიფარგლება მარტო მიმდინარე საქმეებით. ისინი სათავეში უდგანან სოფლის სამეურნეო-კულტურულ ცხოვრებას. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ძველი სენაკის სასოფლო საბჭოს აღმასკომის (თავმჯდომარე მ. შურღაია) მუშაობა. სოფელში არის ორი კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, საშუალო, რვაწლიანი და დაწყებითი სკოლები, კლუბ-სამკითხველო. სოფელს ჰყავს საკუთარი ინტელიგენცია. სასოფლო საბჭოს აღმასკომი კარგად ხელმძღვანელობს სოფლის მრავალფეროვან ცხოვრებას.

რაიონული საბჭოს აღმასკომი რეგულარულად აწყობს სასოფლო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეების, მდივნების სემინარებს, ისმენს სასოფლო საბჭოების აღმასკომების ანგარიშებს, სახავს კონკრეტულ ღონისძიებებს იმისათვის, რომ მუშაობა გაძლიერდეს, სამეურნეო-კულტურული მშენებლობის აქტუალური საკითხები წარმატებით მოგვარდეს.

მასებთან კავშირის გაძლიერების მნიშვნელოვანი საშუალებაა დეპუტატების ანგარიში ამომრჩეველთა წინაშე. შეუძლებელია სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ და მდივანმა იცოდნენ ყველაფერი. დეპუტატების შეხვედრები ამომრჩევლებთან ხელს უწყობს მოუგვარებელი საკითხების, ნაკლოვანებების გამომძღავნებას. ამომრჩეველთა მიერ წამოყენებულ წინადადებათა განხორციელება განამტკიცებს საბჭოების კავშირს ხალხთან, ამაღლებს მათს ავტორიტეტს.

რაიონის ბევრმა კოლმეურნეობამ კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა გასული სამეურნეო წელი და მიმდინარე სამეურნეო წელსაც სერიოზული წარმატება მოიპოვა: დროზე დაამთავრა ხვნა-თესვის სამუშაო, კარგად მოუარა ჩაის პლანტაციებს, გაზარდა მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ყველაფერი არ კეთდება იმისათვის, რომ მოწინავეთა გამოცდილება ყველა კოლმეურნეობის კუთვნილებად იქცეს, ჩამორჩენილი კოლმეურნეობანი მოწინავეებს გაუთანასწორდნენ. მოწინავე კოლმეურნეების საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ტ. ტყებუჩავას, ვიტალის ტიტინოვის, ოქროპირ ბერიძის, ბ. გურიანოვის, ოქროპირ ფოფხაძის, ბ. ბულეიშვილის და სხვების გამოცდილების ფართოდ დანერგვა პრაქტიკაში ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის გადაქცეული ჩვენი ყოველდღიური ზრუნვის საგნად. ასევე შეიძლება ითქვას შრომის ორგანიზაციის შესახებ, რაც ზოგიერთ კოლმეურნეობაში სუსტად არის დაყენებული. სასოფლო საბჭოები, დეპუტატები, აქტივი ყოველმხრივ უნდა დაეხმარონ კოლმეურნეობებს პირუტყვის საკვების დამზადებისა და ჯანსაღი გამოზამთრებისათვის ყველა პირობის შექმნაში, მოსავლის დროზე და უდანაკარგოდ აღებაში. დეპუტატები აქ მაგალითის მიმცემნი, სხვების დამრაზმავნი უნდა იყვნენ.

საერთო მუშაობაში, რომელიც მიმართულია სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისაკენ, ზოგიერთი სასოფლო საბჭო, დეპუტატი მთელ ძალასა და უნარს ვერ გვიჩვენებს. კვლავ გრძელდება ისეთი პრაქტიკა, როცა დეპუტატები ამომრჩევლებს წელიწადში ერთხელ ან საარჩევნო კამპანიის პერიოდში ხვდებიან. ამით საქმე ბრკოლდება. თეკლათის სასოფლო საბჭოს ყველა 22 დეპუტატი შარშან ამომრჩევლების წინაშე წლის ბოლოს — დეკემბერში წარსდგა.

ნოსირი დიდი სოფელია. აქ არის ნოყიერი ნიადაგები. ყველა პირობა არსებობს საზოგადოებრივი მეურნეობის შემოსავლის გასაღიდებლად. მხოლოდ საჭიროა ამ პირობების გამოყენება, კოლმეურნეთა შორის ცოცხალი, ორგანიზატორული მუშაობის გაჩაღება, რასაც, სამწუხაროდ, ვერ ახერხებს სასოფლო საბჭო. სესიებზე არ განიხილავენ მეურნეობის საკვანძო, პერსპექტიულ საკითხებს. ზოგიერთი დეპუტატი, კერძოდ თ. კირცხალია და ს. დუდუჩავა, ვერ ამართლებს ამომრჩეველთა ნდობას. მათ ამომრჩევლების მიერ დავალებული ჰქონდათ სადუდუჩაოსაგუდავო-სალომაიოს გზების შეკეთება, მაგრამ არაფერი არ გაუკეთებიათ. ამაში ბრალი მიუძღვის რაისაბჭოს აღმასკომსაც, ჩვენ სათანადოდ ვერ ვეხმარებით დეპუტატებს.

საკოლმეურნეო სოფელში აურაცხელი ძალებია. მშრომელების ინიციატივა განსაკუთრებით განვითარდა პარტიის XX ყრილობის შემდეგ. საბჭოების ამოცანაა ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მასების ინიციატივის შემდგომ განვითარებას, მთელი ძალების დარაზმვას სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების გადასაწყვეტად.

რაიონის ადგილობრივი საბჭოები, მათი დეპუტატები გაამართლებენ ამომრჩეველთა ნდობას, უკეთესად იმუშავებენ, გაამრავლებენ ღონისძიებებს ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის, მეცხოველეობის პროდუქტიულობის გასაღიდებლად, კულტურული მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის.

დ. გაღათურია,

ცხაკაიას რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითი ხასიათი

მარქსისტულ-ლენინური თეორიის დიადი გარდამქმნელი როლი დამტკიცებულია ისტორიულ მოვლენათა მთელი მსვლელობით. ჩვენს ხანაში — კომუნიზმით კაპიტალიზმის რევოლუციური შეცვლის ხანაში — განსაკუთრებით დიდია მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების ზემოქმედება საზოგადოებრივ განვითარებაზე.

კომუნისტური პარტიის პოლიტიკის ძალა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი ემყარება საზოგადოებრივი განვითარების კანონების ცოდნას, საზოგადოების ცხოვრებაში ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების როლის სწორ მარქსისტულ-ლენინურ გათვალისწინებას. ჩვენი პარტია უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდას, მოითხოვს თავისი კადრებისაგან, ყველა კომუნისტისაგან, რომ მათ შეეძლოთ თეორიულად გაიაზრონ პრაქტიკული გამოცდილება, ცხოვრების მიერ წამოყენებული ახალი საკითხები. პარტიამ დასახა ამოცანა — მთლიანად დავძლიოთ ნაკლოვანებანი იდეოლოგიური მუშაობის დარგში, რომლებიც დაკავშირებულია პიროვნების კულტთან, შემოქმედებითად დავეუფლოთ მარქსიზმ-ლენინიზმს, უნარიანად გამოვიყენოთ მისი დებულებანი პრაქტიკული საკითხების გადაჭრისას. სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებანი მიმართულია იდეოლოგიური მუშაობის ყოველი ღონისძიებით ამაღლებისაკენ, შემოქმედებითი მარქსიზმის სულისკვეთებით, ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამოვლინებებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით კადრების მომზადებისა და აღზრდისაკენ.

თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობა მარქსიზმ-ლენინიზმის დამახასიათებელი ნიშანია

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ პრაქტიკას მოწყვეტილი თეორია მკვდარია, ხოლო პრაქტიკა, რომელიც განათებული არ არის თეორიის შუქით, ბრმაა.

კ. მარქსმა თავისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის ჯერ კიდევ ადრინდელ პერიოდში ღრმად გააკრიტიკა მცდარი შეხედულებანი იმის შესახებ, რომ შემეცნების საბოლოო მიზანია თითქოს თვით თეორია, მისი განვითარება. მეცნიერული თეორია, მიგვითითებდა მარქსი, სამყაროს რევოლუციური გარდაქმნის საშუალებაა, სულიერი იარაღია. წინანდელ ფილოსოფოსთა ნაკლი, აღნიშნავდა იგი, ის იყო, რომ ისინი მხოლოდ ხსნიდნენ სამყაროს, მაშინ როცა საჭიროა გარდაქმნათ, შევცვალოთ ეს სამყარო.

იმპერიალიზმის ეპოქაში, როცა დღის წესრიგში პრაქტიკულად დადგა პროლეტარული რევოლუციის საკითხი, თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთობის სწორ გაგებას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა. ამ პერიოდში მუშათა კლასის მტრებმა გააძლიერეს თავიანთი ცდები დაემახინჯებინათ მარქსიზმი, გადაექციათ მებრძოლი რევოლუციური მოძღვრება ცხოვრებას მოწყვეტილ, ცხოვრებაში გამოუყენებელ ფორმულათა კრებულად, რომელიც მუშათა კლასისათვის უსარგებლო და მის მოწინააღმდეგეთათვის უწყინარი იქნებოდა. ამხილებდა რა მარქსიზმის მტრების ამ უბადრუკ ცდებს, ლენინი ყოველმხრივ ამუშავებდა თეორიისა და პრაქტიკის თანაფარდობის საკითხს.

რევოლუციური პრაქტიკა მოწინავე თეორიის ამოსავალი პუნქტია, მისი საფუძველია. მოწინავე თეორია ამ პრაქტიკის ასახვა და განზოგადებაა, ადამიანის გარემომცველი ობიექტური სამყაროს — ბუნებისა და საზოგადოების სხვადასხვა მხარეებს, სხვადასხვა მოვლენებს შორის ღრმა შინაგანი კავშირის ახსნაა. პრაქტიკა, რომელიც შემეცნების ამოსავალი პუნქტია, საბოლოო ანგარიშით შემეცნების მიზანიც არის. თეორია საჭიროა არა ფუჭი, ცხოვრებას მოწყვეტილი სქოლასტიკური მსჯელობისა და დავისათვის, არამედ საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების პრაქტიკულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, იმ პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტისათვის, რომლებიც ადამიანთა წინაშე ისახება მათი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების მსვლელობაში.

მოწინავე პრაქტიკა განაპირობებს თეორიული აზრის მიზანსწრაფვასაც. საკითხები, რომელთა კვლევასაც თეორიაში ეწევიან, ნაკარნახევია ადამიანთა პრაქტიკული საქმიანობის მოთხოვნილებებით. თეორია, მეცნიერება უნდა დაეხმაროს პრაქტიკას მის წინაშე წამოჭრილი ამოცანების გადაწყვეტაში. ეს არის თეორიის მოწოდება, აზრი და ღირებულება. მარქსიზმის კლასიკოსთა ყოველი ნაწარმოები არსებითად წარმოადგენს მეცნიერულად დასაბუთებულ პასუხს იმ კითხვებზე, რომლებსაც მუშათა კლასის რევოლუციური პრაქტიკა აყენებდა.

მარქსიზმ-ლენინიზმმა ამასთან ერთად ცხადყო, რომ პრაქტიკა თეორიულ დებულებათა ჭეშმარიტებისა თუ სიყალბის კრიტერიუმია, განმსაზღვრელია. მხოლოდ პრაქტიკა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ნათლად ვხედავდეთ, რა არის სწორი და რა არის მცდარი, არასწორი ამა თუ იმ თეორიულ დასკვნებში, დებულებებში. „ცხოვრების, პრაქტიკის თვალსაზრისი, — მიგვითითებდა ლენინი, — შემეცნების თეორიის პირველი და ძირითადი თვალსაზრისი უნდა იყოს“ (თხზ., ტ. 14, გვ. 172).

თეორიული დებულებანი, რომლებიც დადგენილია ნებისმიერად, ცოცხალი ცხოვრების ზუსტი ცოდნის უქონლად, რომლებიც შემოწმებული არ არის პრაქტიკით, არ შეიძლება წარმოადგენდნენ სახელმძღვანელოს პრაქტიკული საქმიანობისათვის. უფრო მეტიც, ისინი შეიძლება სერიოზული შეფერხება გახდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში. ცნობილია, რომ ისეთმა გამოჩენილმა მარქსისტმაც კი, როგორიც ყოი ი. ბ. სტალინი, რომელსაც მკირე დამსახურება როდი აქვს მარქსიზმ-ლენინიზმის დაცვისა და მის მთელ რიგ დებულებათა დამუშავების საქმეში, სერიოზული თეორიული შეცდომები დაუშვა, როცა ობიექტური სინამდვილის უგულებელყოფა დაიწყო. ამ შეცდომებს მძიმე შედეგები მოჰყვა კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკისა და ჩვენი სამშობლოს სახელმწიფო ინტერესების დაცვისათვის. მაგალითად, სტალინის მიერ წამოყენებული დებულება იმის შესახებ, რომ სოციალიზმისაკენ საბჭოთა კავშირის მსვლელობაში კლასობრივი ბრძოლა სულ უფრო და უფრო გამწვავდებაო, იყო არა შედეგი იმ ცვლილებათა ღრმა შესწავლისა, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში კლასთა ურთიერთობაში მოხდა, არამედ შედეგი კლასობრივი ბრძოლის შესახებ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების განყენებული და არსებითად დოგმატიკური განმარტებისა.

სსრ კავშირში იქსპლოატატორული კლასების ლიკვიდაციისა და სოციალიზმის გამარჯვების შემდეგ დამკვიდრდა საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა. მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, საბჭოთა ინტელიგენციის ეკონომიური, პოლიტიკური და იდეოლოგიური ინტერესები ერთიანია. საკითხავია: რა საფუძველი არსებობდა იმის მტკიცებისათვის, რომ კლასობრივი ბრძოლა ჩვენს ქვეყანაში სულ უფრო მწვავე ხასიათს მიიღებდა? ცხადია, რომ ასეთი მტკიცება აშკარად ეწინააღმდეგებოდა სინამდვილეს. იგი ამართლებდა სოციალისტური კანონიერების ყოვლად უხეშ დარღვევებს და დაუსაბუთებელ რეპრესიებს, რომლებიც პრაქტიკაში ხორციელდებოდა.

თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის მარქსისტულ-ლენინური პრინციპიდან გამომდინარეობს სიტყვისა და საქმის ერთიანობის მოთხოვნა. ჩვენი პარტია წინააღმდეგ მეორე ინტერნაციონალის რეფორმისტული პარტიებისა ყოველთვის პირველ პლანზე აყენებდა ამოცანას: განმტკიცებულ იქნას თეორიული დეკლარაციები პრაქტიკული საქმეებით. გამოაცხადა რა თეორიული, პროგრამული დებულება სსრ კავშირში სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენების შესახებ, პარტიამ მთელი თავისი ძალები მოახმარა იმას, რომ განეხორციელებინა ეს დებულება. ყველა ხედავს, რომ კომუნისტების პარტიამ დიად, მსოფლიო-ისტორიულ წარმატებებს მიაღწია. იცავს რა სიტყვისა და საქმის, თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის პრინციპს, ჩვენმა პარტიამ გაბედულად გამოააშკარავა შეცდომები, რომლებსაც უშვებდა სტალინი, განსაკუთრებით თავისი მოღვაწეობის უკანასკნელ წლებში.

ი. ბ. სტალინი არაერთხელ ლაპარაკობდა თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის დაცვის დიდ მნიშვნელობაზე. მაგრამ თვითონ არღვევდა ამ მოთხოვნას. მაგალითად, ლაპარაკობდა რა ხალხის მასების როლზე საზოგადოების განვითარებაში, სოციალისტური დემოკრატიის გაშლის, პიროვნების მიუხედავად კრიტიკისა და თვითკრიტიკის მნიშვნელობაზე, იგი თავის პრაქტიკულ საქმიანობაში უხეშად არღვევდა დემოკრატიზმის პრინციპებს, ხელმძღვანელობის კოლექტიურობას, ფაქტიურად კრიტიკის გარეშე დაიყენა თავი. იგი ყოველნაირად აქებდა იმას, რომ პირადად მისთვის მიეწერათ ის წარმატებანი, რომლებსაც საბჭოთა ხალხმა მიაღწია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. ყოველივე ეს აკნინებდა პარტიისა და ხალხის შემოქმედებითს ინიციატივასა და გმირულ ღონისძიებებს, ბოჭავდა ჩვენი პარტიული და სახელმწიფო კადრების საქმიანობას.

მხოლოდ თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის პრინციპის განუხრელ დაცვას შეუძლია გაამდიდროს თეორია, შეუძლია თავიდან აგვაცილოს შეცდომები და ჩავარდნები მუშაობაში.

მარქსისტულ-ლენინური თეორიის მუდმივი განვითარება

თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის აღიარებიდან გარდუვალად გამომდინარეობს, რომ მარქსიზმ-ლენინიზმი განუწყვეტლივ ვითარდება, მდიდრდება ახალი გამოცდილებით, ახალი დასკვნებითა და დებულებებით. ცხოვრება, პრაქტიკა როგორც ბუნების მოვლენებში, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში ცვლილების, განვითარების მდგომარეობაშია. თეორია, რომელიც სწორად ასახავს ამ განვითარებას, არ შეიძლება თვითონ ერთ ადგილზე იდგეს. ისიც ვითარდება.

პრაქტიკული ცხოვრების პროცესების არსში ღრმად ჩაწვდომის საფუძველზე თეორია საშუალებას გვაძლევს სათლად ვხედავდეთ იმას, რაც ამჟამად ხდება, აგრეთვე წინასწარ ვხედავდეთ მომავალს.

მარქსიზმის წარმოშობამდე ნამდვილი მეცნიერული წინასწარხედვა მხოლოდ ბუნების მოვლენათა სფეროში იყო. საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა გაგების სფეროში ნამდვილი მეცნიერული წინასწარხედვა არ ყოფილა. მარქსიზმის წარმოშობა მოასწავებდა დიდ რევოლუციას, ნახტომს საზოგადოებაზე შეხედულებათა განვითარებაში. ეს იყო გადასვლა წინამეცნიერული პერიოდიდან — ვარაუდების, ფანტაზიების პერიოდიდან მეცნიერულ პერიოდზე, რომელმაც მოგვცა თანამედროვეობის ღრმა, მართალი ანალიზი და მომავლის სწორი, მეცნიერულად დასაბუთებული სურათი.

ცნობილია, რომ მარქსმა და ენგელსმა გენიალური შორსმჭვრეტელობით იწინასწარმეტყველეს გარდუვალობა კაპიტალიზმის შეცვლისა სოციალიზმით, ცხადყვეს მუშათა კლასისა და მისი პარტიის გადამწყვეტი როლი კაპიტალისტური საზოგადოების კომუნისტურ საზოგადოებად რევოლუციური გარდაქმნისათვის ბრძოლაში. ეს დასკვნები მდიდრდება და ვითარდება კომუნიზმისათვის პრაქტიკული ბრძოლის პროცესში.

და რაც უფრო ღრმაა ის ცვლილებები, რომლებიც ხდება საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რევოლუციური მოძრაობის პრაქტიკაში, მით უფრო არსებითია აგრეთვე ის ცვლილებანი, დამატებანი, რომელთა შეტანა გვიხდება წინათ დადგენილ თეორიულ დებულებებში. ამის მკაფიო მაგალითს წარმოადგენს სოციალისტური რევოლუციის თეორიის დამუშავება ლენინის მიერ.

მარქსი და ენგელსი მონოპოლიზმამდელი კაპიტალიზმის შესწავლის საფუძველზე იმ დასკვნამდე მივიდნენ,

digitized by Google

პრესის მიმოხილვა

ღრმად გავაშუქოთ საკოლმეურნეო პარჯორგანიზაციების ცხოვრება

მრავალფეროვანი მეურნეობაა განვითარებული სოფელ ჩაისუბნის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში. კოლმეურნეობას გაშენებული აქვს ჩაის, ციტრუსების, ტუნგოს და სხვა კულტურები. მეურნეობის ყველა დარგის სწრაფმა განვითარებამ სრულიად შეუცვალა სახე სოფელს. უკანასკნელ წლებში მრავალმა კოლმეურნემ აიშენა ახალი სახლი. კეთილმოწყობილია სოფელი და მისი ცენტრი, გაყვანილია გზები, მუშაობს ერთი რვაწლიანი და ოთხი დაწყებითი სკოლა, კულტურულად და შეძლებულად ცხოვრობენ მშრომელები. კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებაში, მისი შემოსავლიანობის ზრდის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის კოლმეურნეობის პირველადს პარტიულ ორგანიზაციას.

ამ პარტიული ორგანიზაციის მუშაობის გამოცდილებაზე, იმაზე, თუ როგორ რაზმავს იგი კოლმეურნეებს პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის, ამას წინათ ქობულეთის რაიონულმა გაზეთმა **„ქობულეთელმა კოლმეურნემ“** მთელი გვერდი მისცა. მასალებში ნათლად არის ლაპარაკი პარტიული ორგანიზაციის პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის გამოცდილებაზე, პარტიული ჯგუფების საქმიანობაზე, კომუნისტთა ავანგარდულ როლზე საკოლმეურნეო შრომაში. გაზეთში გამოქვეყნებული მასალები დაეხმარება რაიონის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს მუშაობის უკეთ მოწყობაში, სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის რაიონის მშრომელთა დარაზმვაში.

გაზეთ „ქობულეთელი კოლმეურნის“ ფურცლებზე სისტემატურად იბეჭდება მასალები პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობაზე, მათს წარმატებებსა და ნაკლოვანებებზე. გაზეთში პარტიული ცხოვრების რუბრიკით გამოქვეყნებული მრავალი მასალა საქმის ცოდნით არის გაკეთებული და პარტიული ორგანიზაციების ცხოვრების მრავალფეროვან საკითხებს მოიცავს. 5 აგვისტოს ნომერში დაბეჭდილია წერილი „პარტიული ორგანიზაცია ჩაის უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში“. წერილში ლაპარაკია იმაზე, თუ ჩაის უხვი მოსავლისათვის როგორ რაზმავს მშრომელებს სოფელ აჭყვის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ პარტიული ორგანიზაცია, როგორ იყენებს იგი თვალსაჩინო აგიტაციას, ძირეულ პრესას, რა ღონისძიებებს მიმართავს ჩამორჩენილი ბრიგადების დაწინაურებისათვის. გაზეთი წერს, რომ პარტიული ორგანიზაციის კრებამ ივლისში გაიხილა საკითხი ჩაის ფოთლის კრეფის გეგმის შესრულებაში კომუნისტთა აქტიური მონაწილეობის შესახებ. გამოირკვა, რომ კომუნისტ ა. სტეფანიდის ბრიგადა არ იცავს ჩაის ფოთლის კრეფის წესებს, რის გამო მოკრეფილი ფოთლის 33 პროცენტი მეორე ხარისხისა იყო. პარტიულმა კრებამ, კომუნისტებმა იმსჯელეს ბრიგადაში მუშაობის გაუმჯობესების საკითხზე, დასახეს ღონისძიებანი მდგომარეობის გამოსასწორებლად. ყოველივე ამის შედეგად ბრიგადამ მკვეთრად გარდაქმნა მუშაობა და წარმატებასაც მიაღწია.

გაზეთში პარტიულ თემაზე გამოქვეყნებული წერილები პარტიული ორგანიზაციების შინაპარტიული მუშაობის მრავალფეროვან საკითხებს ეხება. მაგალითად, ივნისში „ქობულეთელმა კოლმეურნემ“ დაბეჭდა რკინიგზის ქობულეთის სადგურის პარტბიუროს მდივნის დ. ხუჭუას წერილი „პარტიული ბიურო კოლექტიური ხელმძღვანელობის ორგანოა“. წერილში ლაპარაკია იმაზე, თუ როგორ მონაწილეობენ ბიუროს წევრები საკითხების მომზადებასა და გადაწყვეტაში, რა წარმატებებს აღწევენ კოლეგიური მუშაობის შედეგად.

რედაქციას მხედველობიდან არ რჩება კომუნისტთა თეორიული სწავლების, პარტიული ჯგუფების საქმიანობის, მასებში პოლიტიკური მუშაობის, კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის, მაღალხარისხოვანი პროდუქციისათვის ბრძოლის და სხვა მრავალი აქტუალური საკითხი. ამ თემებზე გაზეთი სისტემატურად აძლევს საქმიანად გაკეთებულ მოწინავე წერილებს, კორესპონდენციებს, აქტივის მასალებს. ეს, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ გაზეთ „ქობულეთელ კოლმეურნეს“ პარტიული ცხოვრების საკითხების გაშუქებაში მთელი რიგი ნაკლოვანებებიც აქვს.

ჯერ კიდევ ივლისში პარტიის ქობულეთის რაიონულმა კომიტეტმა განიხილა საკითხი ჩაქვის საბჭოთა მეურნეობაში, სოფლების ლეღვას, ხუცუბნისა და ალამბრის კოლმეურნეობებში ჩაის მწვანე ფოთლის კრეფისა და მისი პლანტაციების მოვლა-პატრონობის მდგომარეობის შესახებ. ბიურომ ამხილა სერიოზული ნაკლოვანებანი ამ საქმეში, პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში.

მოსალოდნელი იყო, რომ გაზეთი შემდგომში ყურადღებას მიაქცევდა მათს მუშაობას, თვალყურს ადევნებდა იმას, თუ როგორ იბრძვიან ისინი გამოაშკარავებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის. სამწუხაროდ, გაზეთმა დაივიწყა ეს მნიშვნელოვანი საქმე.

რედაქციამ სექტემბერში ხუცუბნის კოლმეურნეობაში მოაწყო „ქობულეთელი კოლმეურნის“ სპეციალური ფურცლების გამოშვება. ამ ფურცლებში მკაფიოდ არის გაშუქებული კოლმეურნეობაში ჩაის კრეფის მიმდინარეობა, მისი ნაკლოვანებანი. გაზეთის ეს ინიციატივა მოწონების ღირსია. სპეციალური ფურცლების გამოშვებით რედაქცია დაეხმარება ხუცუბნელებს ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში.

სოფლის პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის ღრმა და ყოველმხრივი გაშუქება, მათი ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისათვის ზრუნვა, ჩამორჩენილი პარტიული ორგანიზაციების საფუძვლიანი კრიტიკა და გამოამკარავებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის ფართო მასების დარაზმვა რაიონული გაზეთების გადაუდებელი ამოცანაა.

აღვკვეთოთ შაქრის ჭარხლის დანაკარგები

სოფელ კეხვის მალეწყოვის სახელობის კოლმეურნეობაში წელს შაქრის ჭარხლის კარგი მოსავალია, მაგრამ მოსავლის აღებას უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან. კოლმეურნეებმა სიდო და ოლია მელანაშვილებმა ჭარხალი ამოიღეს და გაუწმენდავად მიატოვეს მინდვრად. მრავალი კოლმეურნე ამოღებისას ჭარხალს ბოლოებს ამტვრევს, რაც დიდ დანაკარგებს იწვევს. ამას გულდამშვიდებით შესცქერიან კოლმეურნეობის თავმჯდომარე შ. ჭულუხაძე და აგრონომი პ. მინდიაშვილი.

კიდევ უფრო აღმაშფოთებელია ის მდგომარეობა, რომ ჭარხლის მოსავალს პირუტყვი ანადგურებს. კოლმეურნეებს პელა კახნიაშვილს, რეზო ბლიაძეს, სონია და იასონ კახნიაშვილებს ჭარხლის ამოღების დროს თავიანთი ღორები გამოეყვანათ ნათესებში და ჭარხლით კვებავდნენ. თვითონ ყარაულს სიკო ჯიოშვილს ჭარხლის ფოთლების ვეებერთელა კონები შეეკრა და სახლში მიჰქონდა. ეს ფაქტი გამონაკლისი როდია.

უკეთესი მდგომარეობა არც კეხვის გვერდით მდებარე ჩაბეთის კოლმეურნეობაშია. მართალია, აჩაბეთელი კოლმეურნეები მასობრივად გავიდნენ შაქრის ჭარხლის ასაღებად, მაგრამ იგრძნობა მოუმზადებლობა. ასობით კოლმეურნე მუშაობს ჭარხლის ამოღებაზე და არც ერთს ორკაპი არა აქვს. ამის გამო ჭარხალს ხშირად ტეხენ და თავების ნაწილი მიწაში რჩება. ჭარხლის გროვაში, რომლის გვერდით ისხდნენ და ძირებს ასუფთავებდნენ კოლმეურნეები დუსია და ანა ჭულუხაძეები, ბევრი ვნახეთ შუაზე გადაჭრილი ჭარხალი. კოლმეურნე სანდრო ბაბუციძემ 28 სექტემბერს დამთავრა მოსავლელად მიჩენილ ნაკვეთზე ჭარხლის ამოღება და გაბნეულად მინდორში მიატოვა. ამ მხრივ კარგი მდგომარეობა არც სოფელ ხოდისა და ქსუთისის კოლმეურნეობებშია.

სტალინირის რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა ქმედითი, კონკრეტული ღონისძიებები უნდა განაზორციელონ და სასწრაფოდ აღკვეთონ შაქრის ჭარხლის დანაკარგი.

ი. თედიაშვილი,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ახალი საფოსტო განყოფილებები

გორი. (საკ. კორ.). ამ დღეებში სოფელ ნიქოზში მუშაობა დაიწყო ახალმა საფოსტო განყოფილებამ. ეს რიგით მეცამეტეა რაიონში. იგი ემსახურება სოფლების ზემო ნიქოზის, ქვემო ნიქოზის, ფხვენისის, ზემო ხვითისა და ქვემო ხვითის მშრომელებს. განყოფილებასთან მუშაობს შემნახველი სალარო.

უფრო ადრე ახალი საფოსტო განყოფილება გაიხსნა აგრეთვე სოფელ შავშვებში. იგი ექვს სოფელს ემსახურება.

„არსენა მარაგდელი“ გორის თეატრის სცენაზე

სურათზე: სცენა სპექტაკლიდან „არსენა მარაბდელი“.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

მიმდინარე თეატრალური სეზონი გ. ერისთავის სახელობის გორის სახელმწიფო თეატრმა გახსნა მიხ. ჯავახიშვილის ჰეროიკული დრამით — „არსენა მარაბდელი“ (ინსცენირების ავტორები — ქ. ჯავახიშვილი და გ. ნახუცრიშვილი).

ძნელია და თან დიდად პასუხსაგები ამა თუ იმ ნაწარმოების ინსცენირება, მით უფრო მაშინ, როდესაც საქმე გვაქვს დიდტანიან, კომპოზიციურად კარგად შეკრულ, ენობრივად მეტად თავისებურ, მკითხველთა შორის დიდად პოპულარულ მაღალმხატვრულ ნაწარმოებთან. ყოველივე ეს, როგორც ჩანს, გაითვალისწინეს ინსცენირების ავტორებმა და სასურველი შედეგიც მიიღეს.

მთავარი, რისი ჩვენებაც სურდათ პიესისა და სპექტაკლის ავტორებს, შემდეგია: ის იდეები, რომელთა განხორციელებისთვისაც იბრძოდა და იღვწოდა არსენა, ამ დროისათვის ჯერ კიდევ ნაადრევი იყო. ხალხი, ცხოვრება არ იყო საამისოდ მომწიფებული. ამიტომ არის, რომ არსენას მარცხი სპექტაკლში მაყურებელს არ უტოვებს პესიმისტურ განწყობას — პირიქით, ფინალი ნერგავს რწმენას, რომ დაიღუპა მხოლოდ არსენა, და არა მისი იდეები; რომ მოვა დრო, დაიზრდებიან ახალი მებრძოლები, ეს იდეები ხორცს შეისხამს მათ ხელში, ხალხი გათავისუფლდება, მოისპობა მდიდრისაგან ღარიბის ჩაგვრა.

პიესაში და კიდევ უფრო მკაფიოდ სპექტაკლში საინტერესოდ არის გაშუქებული ხალხთა მეგობრობის თემა. არსენას რაზმში სევასტის, როსტომის, ლაშქარას, სულხანისა და სხვათა გვერდით მათზე არანაკლებ თავდადებულად იბრძვიან რუსი კარპიჩა, თათარი დალი-ჰასანი, ოსი მეშთა, უკრაინელი ოსტაპი.

სპექტაკლი „არსენა მარაბდელი“ დადგა გორის თეატრის მთავარმა რეჟისორმა საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა თეიმურაზ ლორთქიფანიძემ.

კარგად დაწერილ პიესაში რეჟისორის გამოცდილმა თვალმა მაინც იპოვნა ზოგი რამ ისეთი, რისი შეკვეცისა თუ შეცვლის შედეგადაც სპექტაკლი უფრო კომპაქტური და მხატვრულად სრულყოფილი გამოვიდა. შესანიშნავია სპექტაკლის მხატვრული გაფორმება. დეკორაციები ძალიან ლამაზია, მაგრამ მხოლოდ გარეგანი სილამაზე არ შეიძლებოდა ყოფილიყო მხატვრის იმ დიდი გამარჯვების მიზეზი, რომელიც მოიპოვა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ივ. ასკურავამ. ყველაფერს ატყვია გამოცდილი, გემოვნების მქონე მხატვრის ხელი. იგივე შეიძლება ითქვას მოქმედ პირთა ტანსაცმელზე, რომელიც აგრეთვე ივ. ასკურავას ესკიზების მიხედვით არის შესრულებული. აქაც იგრძნობა ეპოქის ზედმიწევნითი ცოდნა და გემოვნება.

სამწუხაროდ, ასე ვერ ვიტყვით სპექტაკლის მუსიკალურ გაფორმებაზე. კომპოზიტორი მ. დავითაშვილი ზერელედ, უპასუხისმგებლოდ მოჰკიდებია ამ მეტად სერიოზულ საქმეს. მის მიერ დაწერილ მუსიკას აკლია მელოდიურობა, სილამაზე, გამომსახველობა. ალბათ ეს არის იმის მიზეზი, რომ ცეკვებიც და სიმღერებიც სპექტაკლში გაცილებით უფრო დაბალ დონეზე დგას.

სპექტაკლის მთავარი გმირის — არსენას როლს ასრულებს მსახიობი გ. ნავროზაშვილი. შეიძლება ითქვას, მსახიობს ყველა მონაცემი აქვს, რომ შექმნას არსენას დამაჯერებელი სახე. მის მიერ წარმოსახული არსენა მოხდენილი, მძლავრი ვაჟკაცია, გონიერი მეთაური, მოაზროვნე ადამიანი, შეუდრეკელი მებრძოლი და სათუთი სატრფო. და მით უფრო სამწუხაროა, რომ ზოგიერთ სცენაში მსახიობს აკლია არსენასეული სიფიცხე. იგი ზედეტად მშვიდია, თითქოს მოდუნებული. ასეთია, მაგალითად, დალი-ჰასანის მიერ არსენას შეპყრობისა და ხანძრის სცენები. მაგრამ ვფიქრობთ, შემდგომ მუშაობაში მსახიობი ამ ნაკლს დასძლევს, თანდათანობით სრულყოფს თავის გმირს.

სპექტაკლის მრავალრიცხოვან შემსრულებელთა შორის ძნელია ისეთის პოვნა, რომელიც თავისი სუსტი შესრულებით სპექტაკლს ზიანს აყენებდეს. სახის მთლიანობით, დახვეწილობით, სიმართლით, მაღალმხატვრულობით განსაკუთრებით გამოირჩევიან სპექტაკლში სტ. გრიქურავი (ლუპიანა), ვ. კახნიაშვილი (ლაშქარა), გ. აბრამიშვილი (დალი-ჰასანი), ვ. ცხვარიაშვილი (კარპიჩა) და გ. ციცქიშვილი (სულხანი).

მახვილი დამახასიათებელი შტრიხები გამოუნახეს თავიანთ გმირებს რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა შ. ხერხეულიძემ (გ. კუტალია), ი. დამსახურებულმა ოსიძემ (ხაალ. ბერიკაშვილი). უყურებთ მას, და გვჯერათ, რომ არსენასებური გმირის გამოზრდა სწორედ ასეთ მამას შეეძლო. უყურებთ არსენას ახალგაზრდა ერთგულ რაზმელებს სულხანს (გ. ციცქიშვილი), როსტომს (რ. დათუნაშვილი) და ზურას (ვ. მარსაგიშვილი), და გწყინთ, რომ სწორედ მათ მსგავს ვაჟკაცებს შეეძლოთ განეგრძოთ არსენას გზა. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევა მსახიობი გ. ციცქიშვილი. მან სულხანი წარმოგვიდგინა მრავალმხრივად და დამაჯერებლად. დასაწყისში თუ მისი სულხანი იმდენად სუსტია, რომ ვერ ბედავს უარყოს ბრძანება და იარაღს შემართავს ძმის წინააღმდეგ, ძმის სისხლის დანახვაზე იგი სრულიად იცვლება, მორჩილი მილიციელი იქცევა გაფთრებულ შურისმაგებლად.

მარინეს სახით მსახიობმა ქ. ბოჭორიშვილმა მაყურებელს წარმოუდგინა ერთგული და მოსიყვარულე ქართველი ქალი, ვნირი არსენას ღირსეული გულისწორი.

ფიქრიას როლში ჩვენ ვნახეთ ორი შემსრულებელი, და სინანულით უნდა აღვნიშნოთ, რომ ვერც ერთი მათგანი ვერ არის სრულყოფილი. ნ. ზალდასტანიშვილის ფიქრიას აკლია ახალგაზრდული სისხარტე, ხოლო რ. ცაბაძის მიერ წარმოდგენილი იგივე პერსონაჟი ზედმეტი უტიფრობის იერს ატარებს. მსახიობს ემჩნევა ერთი მეტად არასასურველი მისწრაფება — ყოველთვის, არის თუ არა ეს საჭირო, მოექცეს ყურადღების ცენტრში, თავისკენ მიიპყროს მაყურებლის თვალი. მსახიობისათვის აუცილებელია ამ ხელისშემშლელი თვისების დროზე მოცილება.

ასევე ორ-ორი შემსრულებელი ჰყავთ მაგდანასა და ხორეშანს. მებრძოლი ქალის — მაგდანას ბუნებას უფრო სწორად და დამაჯერებლად გადმოგვცემს მსახიობი რ. ლორთქიფანიძე. მისი მაგდანა ძლიერია, შეუპოვარი. თუმცა პირველი მოქმედების ბოლო სურათში, სადაც სალდათების მიერ შეგინებული მაგდანა სთხოვს არსენას თან წაიყვანოს ტყეში, მსახიობი თ. ერისთავი უფრო მართალია და ძლიერი.

ხორეშანის სრულიად სხვადასხვაგვარ სახეს ქმნიან რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ნ. ბერიოზაშვილი და მსახიობი მ. ბაბტაძე. პირველი ავი, გულღრძო ქალბატონია, მეორე კი თავდასხმით გააფთრებული ოჯახის დედა.

სპექტაკლი საკმაოდ ამართლებს თავის დანიშნულებას. იგი გორის თეატრის საინტერესო დადგმაა.

ლ. ყურულაშვილი.

რომ სოციალისტურმა რევოლუციამ შეიძლება გაიმარჯვოს მხოლოდ როგორც რევოლუციამ, რომელიც ერთსა და იმავე დროს ხორციელდება მსოფლიოს ყველა განვითარებულ ქვეყანაში ან მათს უმრავლესობაში. ლენინმა კი, მარქსისტულ თეორიაზე დაყრდნობით, ცხადყო თავისებურებანი კაპიტალიზმის განვითარებისა მონოპოლიების ბატონობის ეპოქაში, იმპერიალიზმის ეპოქაში, და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ შესაძლებელია სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება თავდაპირველად ზოგიერთ ან თუნდაც ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში. ცნობილია, რომ ლენინის ეს დასკვნა მთლიანად დადასტურდა.

ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ იცვლება კონკრეტული პირობები, რომლებშიც ხორციელდება სოციალიზმზე რევოლუციური გადასვლა სხვადასხვა ქვეყანაში. საჭირო ხდება ახალ გარემოებათა გათვალისწინება და, მაშასადამე, საჭირო ხდება ისიც, რომ შემდგომ განვითარდეს სოციალისტური რევოლუციის თეორია. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, საზღვარგარეთის მარქსისტული პარტიები, განაზოგადებენ რა ახალ მონაცემებს, გაბედულად სწევენ წინ ამ თეორიას, აიარაღებენ ამ თეორიით კომუნიზმისათვის მილიონობით მებრძოლს.

შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმის ნიმუშია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებანი. ყრილობამ ღრმა ანალიზი გაუკეთა იმ ცვლილებებს, რომლებიც უკანასკნელ ხანს საერთაშორისო ვითარებაში მოხდა. როგორც გამოხატულება კაპიტალიზმის საერთო კრიზისის გაღრმავებისა და გამწვავებისა გაჩნდნენ, მტკიცდებიან და ვითარდებიან საზოგადოებრივი პროგრესის მძლავრი ფაქტორები, რომლებიც წინათ არ ყოფილან. სოციალიზმი გასცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს, ახლა იგი წარმოადგენს მსოფლიო სისტემას, ბევრი სოციალისტური ქვეყნის მძლავრ, ურღვევ თანამეგობრობას. ამჟამად სწრაფად ხდება იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის რღვევა. კოლონიური და ნახევრადკოლონიური ხალხები წარმატებით ახორციელებენ თავიანთ მტკიცე გადაწყვეტილებას იყონ თავისუფალნი და დამოუკიდებელნი. ინდოეთი, ინდონეზია, ეგვიპტე და მთელი რიგი სხვა ქვეყნები უკვე დაადგნენ დამოუკიდებელი ეროვნული განვითარების გზას. იზრდება მშვიდობის მომხრეთა მოძრაობა, მტკიცდებიან დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალები ყველა ქვეყანაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ გვიჩვენა, რომ ამ პირობებში იქმნება ახალი შესაძლებლობანი ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, ომების თავიდან აცილებისათვის, სოციალიზმზე მთელი რიგი ქვეყნების გადასვლისათვის მშვიდობიანი გზით, სამოქალაქო ომების უწარმოებლად. ყრილობის ამ დასკვნებს უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ისინი გადაგვშლიან მშრომელთა განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალ პერსპექტივებს, უშუქებენ მშრომელებს ბრძოლისა და გამარჯვებათა გზას.

მარქსისტულ-ლენინური თეორიის მიზანსწრაფვა მომავალში, ამ მომავლის მეცნიერული განჭვრეტის უნარი შესაძლებლობას აძლევს მოწინავე თეორიით შეიარაღებულ მუშათა კლასის რევოლუციურ პარტიას გაბედულად და მტკიცედ ედგეს სათავეში მოვლენებს, წინ გაუძღვეს მასებს. განვითარების არსისა და პერსპექტივების განსაზღვრის უნარი, მეცნიერული განჭვრეტა მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი ქმედითი ძალაა.

მარქსიზმ-ლენინიზმის შეურიგებლობა დოგმატიზმისადმი

თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის პრინციპის, თეორიის განვითარების პრინციპის დავიწყება უდევს საფუძვლად მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლისათვის, კომუნისტური მშენებლობის საქმისათვის ისეთ საშიშ და მავნე მოვლენას, როგორიც არის დოგმატიზმი, მეციტატეობა, მედავითნეობა.

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ ყოველი მოვლენა, ყოველი ამბავი განსაზღვრულ კონკრეტულ-ისტორიულ ვითარებაში მიმდინარეობს. ამ მოვლენის ანალიზი, მის შესახებ ამა თუ იმ თეორიული დასკვნების გაკეთება არ შეიძლება, თუ არ გავითვალისწინებთ ამ ვითარების თავისებურებებს. ამიტომ მარქსისტულ-ლენინური თეორიის დასკვნების სწორად გაგება შეიძლება მხოლოდ იმის გათვალისწინებით, თუ როდის და რა კონკრეტულ-ისტორიულ პირობებშია ისინი გაკეთებული.

ლენინი განუწყვეტლივ მიაქცევდა ყურადღებას კონკრეტული ვითარების გათვალისწინების საჭიროებას, ურომლისოდაც არ შეიძლება მარქსისტული დებულებების წარმატებით გამოყენება, პრაქტიკისათვის შეფარდება. მაგალითად, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ცოტა ხნით ადრე, ამუშავებდა რა საკითხს სახელმწიფო ხელისუფლების . შესახებ, რომელიც ძლევამოსილი რევოლუციის შედეგად უნდა დამყარებულიყო, ლენინი გაფრთხილებას იძლეოდა შაბლონის წინააღმდეგ, სხვადასხვა ქვეყნის განვითარების კონკრეტულ თავისებურებათა უგულებელყოფისადმი მისწრაფების წინააღმდეგ. იგი წერდა: „კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლამ, რა თქმა უნდა, არ შეიძლება არ მოგვცეს პოლიტიკური ფორმების დიდი სიმრავლე და ნაირნაირობა, მაგრამ არსი ამასთან გარდუვალად ერთი იქნება: **„პროლეტარიატის დიქტატურა“** (თხზ., ტ. 25, გვ. 508).

თანამედროვეობა გვიჩვენებს, რაოდენ გამჭრიახი იყო პროლეტარული რევოლუციის დიდი მესაჭე. საბჭოთა სახელმწიფო, ევროპისა და აზიის სახალხო დემოკრატიის ქვეყნების სახელმწიფოები — რამდენი რამ არის თვითეულ მათგანში თავისებური, რომელსაც განვითარების კონკრეტულ-ისტორიული პირობები განსაზღვრავს! მაგრამ მათი არსი ერთია: მუშათა კლასი ახორციელებს სახელმწიფოებრივ ხელმძღვანელობას საზოგადოებისადმი, იყენებს მას ყველა მშრომელთა ინტერესებისათვის, სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

მარქსიზმის დოგმატიკოსებისათვის, მედავითნეებისათვის დამახასიათებელია მარქსიზმის ამ მოთხოვნის უგულებელყოფა. მათთვის დამახასიათებელია, რომ ისინი ისე იყენებენ ცალკეულ დებულებებს, ციტატებს, რომ ანგარიშს არ უწევენ კონკრეტულ პირობებს, რომლებსაც ეს დებულებები და ციტატები ეხება. თეორიისადმი ასეთი მიდგომის შედეგად იქმნება მოჩვენებითობა, რომ მისდევენ მარქსიზმს, ნამდვილად კი გამოდის მარქსიზმის არსის, სულის დამახინჯება.

კომუნისტური მოძრაობის ისტორიაში ბევრია მარქსიზმის დოგმატიკური დამახინჯების მაგალითი. საკმარისია გავიხსენოთ, როგორ ფიცულობდნენ მარქსიზმს და თავს იწონებდნენ მისი ფორმულების მოყვანით მე-2 ინტერნაციონალის ოპორტუნისტი ბელადები, რევოლუციური მარქსიზმის ტროცკისტი და სხვა მოწინააღმდეგეები. იბღაუჭებოდნენ რა ცალკეულ ციტატებს მარქსიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებებიდან, თვითნებურად განმარტავდნენ რა ამ ციტატებს, ისინი ცდილობდნენ სწორი გზიდან გადაეცდინათ მუშათა მოძრაობა.

საიდანაც უნდა გამომდინარეობდეს დოგმატიზმი — ბოროტი განზრახვიდან თუ ლაჩრობიდან და სიძნელეთა წინაშე დაბნეულობიდან, უძრაობიდან, ძველისადმი ერთგულებიდან და ახლის, ჯერ კიდევ გამოუცდელის შიშიდან, — იგი თანაბრად აყენებს ზიანს რევოლუციურ პრაქტიკას.

მარქსისტული თეორიისადმი დოგმატიკურ მიდგომას ხელს უწყობდა პიროვნების კულტი. თუ საფუძვლად ავიღებთ იმას, რომ ყველა საკითხში უცოდველ მხოლოდ ერთ ადამიანს ძალუძს განავითაროს მარქსისტული მეცნიერება, რაღა საჭიროა სხვებმა შეიწუხონ თავი და შეისწავლონ ცხოვრება, პრაქტიკის ყველა პირობა, რომლებიც იცვლება. მათ მხოლოდ ის დარჩენიათ, რომ გაიმეორონ მზა ფორმულები.

ცნობილ სტატიაში „პროლეტარიატის დიქტატურის ისტორიული გამოცდილების შესახებ“, რომელიც ჩინურ გაზეთ „ჟენმინჟიბაოში“ გამოქვეყნდა, მოყვანილია თეორიული დებულებებისადმი ასეთი დოგმატიკური დამოკიდებულების დამახასიათებელი მაგალითი. სტალინს აქვს ფორმულა იმის შესახებ, რომ რევოლუციის სხვადასხვა პერიოდში ძირითადი დარტყმა მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ იზოლირებულ იქნან შუალედი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალები. ზოგიერთი ჩინელი ამხანაგი ამ ფორმულას იყენებდა როგორც აბსოლუტურს, ჩინეთის სინამდვილის კონკრეტული პირობების გაუთვალისწინებლად, და ეს იწვევდა მხოლოდ თვით კომუნისტური ძალების იზოლაციას, რაც ზიანს აყენებდა ჩინეთის რევოლუციის გაშლის საქმეს და დაგმობილ იქნა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის მიერ.

მარქსიზმის მოწინააღმდეგეები მისი ძირითადი დებულებების რევიზიის თავიანთ ცდებს ხშირად ფარავენ განცხადებებით, რომ ისინი „ასწორებენ“ და „აუმჯობესებენ“ მარქსიზმს. კლასობრივი ბრძოლის, როგორც ანტაგონისტური საზოგადოების განვითარების მამოძრავებელი ძალის, აღიარება, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში მუშათა კლასისა და მისი პარტიის ხელმძღვანელი როლის საჭიროების აღიარება, კომუნისტური საზოგადოების აშენებაში პროლეტარიატის დიქტატურის საჭიროების აღიარება — ეს დებულებანი რევოლუციური მარქსიზმის ქვაკუთხედს შეადგენენ. მათზე უარის თქმა, მათი გადასინჯვის ცდა მარქსიზმისაგან ჩამოშორებას ნიშნავს.

ჩვენი პარტია წმიდად იცავს მარქსისტულ-ლენინური თეორიის სიწმინდეს, მისი პრინციპების ურყევობას, გადაჭრით ებრძვის ყოველგვარ რევიზიონისტულ და რეფორმისტულ ცდებს, საიდანაც უნდა გამომდინარეობდნენ ისინი.

• • •

მარქსისტულ-ლენინური თეორიის ღრმა, შემოქმედებითი დაუფლება წარმოუდგენელია პრაქტიკულ ბრძოლაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის მიუღებლად. გავიხსენოთ ვ. ი. ლენინის შესანიშნავი სიტყვები, რომლებიც მიმართულია ახალგაზრდობისადმი: „კომუნიზმის შესწავლა რომ მარტო იმის შეთვიზება იყოს, რაც კომუნისტურ შრომებში, წიგნაკებსა და ბროშურებშია გადმოცემული, მაშინ ძალიან ადვილად მივიღებდით კომუნისტურ მედავითნეებს ან მკვეხარებს...“ (თხზ., ტ. 31, გვ. 340).

მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლა ნაყოფიერია მხოლოდ მაშინ, როცა თეორიული სწავლის განმტკიცება ხდება პრაქტიკული საქმეებით, კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში აქტიური მონაწილეობით.

აქედანვე გამომდინარეობს პარტიის მოთხოვნები პარტიული პროპაგანდისადმი, რომელიც მოწოდებულია შეაიარაღოს კომუნისტები საზოგადოებრივი განვითარების კანონების, კომუნიზმის მშენებლობის კანონების ცოდნით, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ღრმა გაგებით, რათა მათ აქტიურად იბრძოლონ ამ პოლიტიკის განხორციელებისათვის. პროპაგანდის ამოცანა, ნათქვამია სკკპ XX ყრილობის რეზოლუციაში, მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ განმარტოს მარქსიზმ-ლენინიზმის თეორია, არამედ ხელი შეუწყოს მის პრაქტიკულ განხორციელებასაც.

მარქსიზმ-ლენინიზმი არის მთლიანი მოძღვრება, რომელიც შეიცავს დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმს, პოლიტიკურ ეკონომიას, სოციალისტური რევოლუციის თეორიასა და ტაქტიკას, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის ისტორიასა და პრაქტიკას. მხოლოდ იმ პირობით, თუ გავითვალისწინებთ მარქსიზმ-ლენინიზმის ამ მთლიანობას, შეგვიძლია ღრმად, შემოქმედებითად შეგითვისოთ თეორია, შევიარაღდეთ ჩვენი საზოგადოების მრავალფეროვანი ცხოვრების პრაქტიკულ ამოცანათა საკითხების გადასაჭრელად.

ცხოვრებასთან განუყრელად დაკავშირებული შესწავლა მარქსიზმ-ლენინიზმისა იდეურად აწრთობს კადრებს, ამზადებს მათ იმ პრაქტიკული ამოცანების დამოუკიდებელი შემოქმედებითი გადაჭრისათვის, რომლებიც პარტიისა და სახელმწიფოს მიერ დასახულია კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

ნ. ვასილიევი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში

დამთავრდა საერთო დისკუსია სუეცის საკითხზე

ნიუ-იორკი, 10 ოქტომბერი. (საკუთარი). გუშინდელ დილის სხდომაზე საერთო დისკუსია სუეცის საკითხზე დამთავრდა. იუგოსლავიის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივნის კ. პოპოვიჩისა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის დალესის გამოსვლებით.

კ. პოპოვიჩმა თავისი სიტყვის დასაწყისში ხაზგასმით აღნიშნა ეგვიპტის როგორც სუვერენული სახელმწიფოს განუყოფელი უფლება მოახდინოს სუეცის არხის კომპანიის ნაციონალიზაცია. „რამდენადაც ვიცი, — თქვა მან, — ეგვიპტის სუვერენული უფლებანი სუეცის არხის მიმართ პრინციპულად არასოდეს არ ყოფილა სადავო. უფრო მეტიც, ეს უფლება არაერთგზის დაუდასტურებია სხვადასხვა შეთანხმებას, რომლებიც საზღვაო გზებს აწესრიგებენ“.

იუგოსლავიის წარმომადგენელმა ცხადყო იმ მტკიცების სრული უსაფუძვლობა, თითქოს სუეცის არხის კომპანიის ნაციონალიზაციით ეგვიპტემ დაარღვია თავისი საერთაშორისო ვალდებულებანი. მიუხედავად მისთვის შექმნილი დაბრკოლებებისა, თქვა პოპოვიჩმა, ეგვიპტის მთავრობამ წარმატებით გაართვა თავი არხით ნაოსნობის თავისუფლების უზრუნველყოფას.

იუგოსლავიის მთავრობა მოითხოვდა და მოითხოვს, რომ სუეცის საკითხი გადაიჭრას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების სულისკვეთებით, რათა პატივს სცემდნენ ეგვიპტის სუვერენულ უფლებებსა და ინტერესებს და უზრუნველყოფდნენ ამ დიდმნიშვნელოვანი წყლის გზით თავისუფალ სარგებლობას. ეყრდნობა რა ამას, იუგოსლავიის მთავრობა მხარს უჭერს ინდოეთის წინადადებას, რომელიც შეტანილია ჯერ კიდევ ლონდონის პირველ კონფერენციაზე.

კ. პოპოვიჩმა მოითხოვა არხით სარგებლობის იმ ტექნიკური საკითხების დამშვიდებული და გონივრული მოწესრიგება, რომლებიც ეხება ტარიფებს და ანარიცხებს სამუშაო მდგომარეობაში არხის შენახვისა და მისი შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

შეეხო რა ინგლისისა და საფრანგეთის რეზოლუციის პროექტს, იუგოსლავიის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანმა თქვა, რომ „იგი, ჩვენი აზრით, ვერ გახდება შეთანხმების საფუძველი. ეს პროექტი, როგორც ჩვენ გვგონია, უგულებელყოფს იმ ფაქტს, რომ წინადადებანი, რომლებსაც იგი შეიცავს, მიუღებელი აღმოჩნდა ყველაზე დაინტერესებული მხარის — ეგვიპტისათვის. უფრო მეტიც, რეზოლუციაში არის ტენდენცია ცალმხრივი მიდგომისა მის საკითხს გადაჭრისადმი, რომელიც შეიძლება მოწესრიგდეს მხოლოდ თანასწორობისა და თვალსაზრისთა დახლოების საფუძველზე წარმოებული მოლაპარაკების გზით, რაც უშიშროების საბჭოს მიზანია. ამრიგად, ჩვენ ვიზიარებთ იმედს, რომელიც აქ ირანის წარმომადგენელმა გამოთქვა, რომ შეგვიძლია მივაღწიოთ ისეთ შედეგებს, რომლებიც გამორიცხავენ ინგლისა-საფრანგეთის რეზოლუციის პროექტისათვის კენჭისყრის საჭიროებას“.

კ. პოპოვიჩმა მხარი დაუჭირა წინადადებას, რომ საერთო დისკუსიის დამთავრების შემდეგ უშიშროების საბჭომ მუშაობა განაგრძოს დახურულ სხდომებზე, რაც, მისი აზრით, ხელს შეუწყობს სუეცის საკითხის მოწესრიგების პრაქტიკული საფუძვლის გამონახვას.

იუგოსლავიის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის დ. ტ. შეპილოვის წინადადებას მოლაპარაკების სპეციალური კომიტეტის შექმნის შესახებ. „ჩვენ მივგაჩნია, — თქვა მან, — რომ ეს კომიტეტი უნდა შედგეს ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნას მისი ობიექტიურობისა და ეფექტიანობის მაქსიმალური დონე. მის ყველაზე მნიშვნელოვან ამოცანებს უნდა მიეკუთვნოს იმ წინადადებათა შესწავლა, რომლებიც გუშინ ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფავზიმ გამოთქვა“.

საერთო დისკუსიაში უკანასკნელი გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი დალესი. დალესის სიტყვამ ცხადყო, რომ სუეცის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრა მას შესაძლებლად და „სამართლიანად“ მიაჩნია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეგვიპტე დაეთანხმება სუეცის არხისადმი საერთაშორისო კონტროლის დაწესებას.

დალესი შეეცადა გაემართლებინა ინგლისისა და საფრანგეთის პოზიცია, რომელიც დახატა, როგორც „მშვიდობიანი მიდგომის“ ნიმუში. ამასთან იგი იმოწმებდა იმას, რომ არხით მთავარმა მოსარგებლეებმა მოიწვიეს ლონდონის კონფერენცია, „შენზისის მისია“ გაგზავნეს კაიროში და წამოაყენეს „სუეცის არხით მოსარგებლეთა ასოციაციის“ შექმნის გეგმა. დალესი ამტკიცებდა, რომ ყოველივე ეს „მშვიდობიანი ნაბიჯებია“, თუმცა ცნობილია, რომ მთელი ამ ნაბიჯების მიზანი ის არის, რომ ეგვიპტეს უკარნახოს ულტიმატური პირობები და წინანდელი წესრიგი აღადგინოს სუეცის არხის ზონაში. დალესი იმოწმებდა კონსტანტინოპოლის 1888 წლის კონვენციას და ცდილობდა იქ ეპოვნა იმის დამამტკიცებელი სიტყვები, რომ არხით მოსარგებლეებს აქვთ არხისადმი კონტროლის „უფლება“, თუმცა მსგავსი რამ არაფერია ამ კონვენციაში.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ამტკიცებდა, რომ უსამართლობა იქნებოდა ეგვიპტის არხი დარჩენილიყო ეგვიპტის ხელში, რადგან ეს თითქოს შელახავდა არხით მოსარგებლეთა ინტერესებს. იგი ლაპარაკობდა აგრეთვე იმაზე, რომ სამართლიანობის პრინციპები ხორციშესხმულია „თვრამეტის წინადადებებში“, რომელთა ავტორი, როგორც ცნობილია, თვით დალესია. ეს წინადადებანი ითვალისწინებენ, კერძოდ, „ეფექტიან სანქციებს“, რომელთა მახვილი მიმართულია ეგვიპტის წინააღმდეგ.

შემდეგ დალესმა განაცხადა, რომ სუეცის პრობლემის მშვიდობიან გადაჭრას იგი უკავშირებს ეგვიპტის თანხმობას მიიღოს პირობები, რომლებსაც არხით მთავარი მოსარგებლენი „სამართლიანად“ მიიჩნევენ.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა დალესმა უკმაყოფილება გამოთქვა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის დ. ტ. შეპილოვის სიტყვის იმ ნაწილის გამო, სადაც ლაპარაკი იყო ამერიკის მონოპოლიების არასახარბიელო როლზე სუეცის საკითხში და საერთოდ ახლო აღმოსავლეთში. მან გაილაშქრა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის წინადადების წინააღმდეგ, რომ კომიტეტის შემადგენლობა იყოს ისეთი, რომ „იქ წინასწარ არ შეეძლოს უპირატესობა მოიპოვოს რომელიმე თვალსაზრისმა“. დალესი ამტკიცებდა, რომ ეს საბჭოთა წინადადება თითქოს მიზნად ისახავს მოლაპარაკება გაიჭიანუროს და „უთანხმოებანი სამუდამო გახადოს“.

მაგრამ, როცა დალესი საბჭოთა კავშირს ბრალად სდებს მოლაპარაკების გაჭიანურების სურვილს, იგი ისე იქცევა, როგორც ანდაზა ამბობს: „ჭირი სხვისაო“. კარგად ცნობილია, რომ სწორედ დასავლეთის სახელმწიფოები არიან დამნაშავენი იმაში, რასაც თვით ამერიკის პრესა აღიარებს. მაგალითად, გაზეთ „კრისჩენ საიენს მონიტორის“ მიმომხილველი მარიო როსი 5 ოქტომბერს წერდა: „არსებობს აზრი, რომ დასავლეთისათვის სუეცთან პოლიტიკა არის პრობლემა გადაუჭრელი დატოვონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და ამავე დროს ემზადონ ძალების გადამწყვეტი მოსინჯვისათვის“.

დასასრულ დალესმა ერთხელ კიდევ განაცხადა, რომ, მისი აზრით, მთავარია ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც გამორიცხავდა შესაძლებლობას რომელიმე ერთ ქვეყანას არხი „გამოიყენებინა თავისი ეროვნული პოლიტიკის თარაღად“. ასეთ სისტემად, როგორც დისკუსიის მსვლელობაში ნათელი გახდა, ამერიკის შეერთებულ შტატებს, ინგლისსა და საფრანგეთს მიაჩნიათ სუეცის არხისადმი „საერთაშორისო კონტროლის“ სისტემა.

დალესმა ერთხელ კიდევ გაიმეორა, რომ იგი ხმას მისცემს ინგლისა-საფრანგეთის რეზოლუციის პროექტს, თუმცა უშიშროების საბჭოს მთელი რიგი წევრები თავიანთ სიტყვებში ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ რეზოლუციის ამ პროექტის განხილვასა და მით უმეტეს მისთვის კენჭისყრას შეუძლია მხოლოდ ხელი შეუშალოს მოლაპარაკებას სუეცის პრობლემის მშვიდობიანი მოწესრიგების შესახებ.



სოხუმი. ლენინის ქუჩის ხედი. ფოტო ვ. ვახტანგაძისა.

იზრდება თბილისის მწვანე სამოსელი

ლამაზია თბილისში შემოდგომა. ქუჩებისა და მოედნების გაყოლებით მარადმწვანე მცენარეებს შორის ლამაზად გამოიყურებიან უკვე წითლად და ოქროსფრად შეფერადებული ჭადრები, ვერხვები, ცაცხვები, აკაციები. არ დაუბერავს შემოდგომის სუსხიან ქარს, და ამიტომ ხეები ჯერ შემოსილია, აქა-იქ თუ ჩამოვარდება დამჭკნარი ფოთოლი.

უფრო ადრე დაჭკნენ ფერად-ფერადი ხალიჩოვანი ყვავილები, რომლებითაც ასე მდიდარია ხოლმე თბილისის ქუჩების გაზონები. ახლა მათ ნაცვლად რგავენ თეთრსა და ყვითელ ქრიზანტემებს, ალისფერ სალვიას.

თბილისის გამწვანების ტრესტი კარგა ხანია შეუდგა მზადებას გამწვანების საშემოდგომო სამუშაოებისათვის. უკვე ამოღებულია ორმოება მცენარეთა დასარგავად. სანერგეებიდან ყოველდღიურად ასობით ხე და ბუჩქი შემოაქვთ და ანაწილებენ ქალაქის პარკებში, ბაღებსა და სკვერებში დასარგავად.

გამწვანების ყველაზე დიდი ობიექტი თბილისის ზღვის სანაპიროებია. წელს აქ კულტურისა და დასვენების პარკში დაირგება 16.000-ზე მეტი ხე და ბუჩქი. მწვანე ნარგავებით შეივსება ვაკის ახალი პარკი, კომკავშირის ხეივანი, მთაწმინდის და მახათას მთის ფერდობები.

წელს ვაკეში ტრამვაის ხაზის მოსაბრუნებელ წრესთან გაკეთდა დეკორაციულად გაფორმებული სკვერი. მიმდინარეობს ამ სკვერის უკანა მხარის გამწვანება, რისთვისაც აქ დაირგება 3.000 ძირი ხე და ბუჩქი.

სულ ამ შემოდგომაზე ქალაქში გამწვანების ტრესტის ხაზით დაირგება 133.400 ძირი ხე და ბუჩქი.

მოზარდ მაყურებელთა თეატრში

თბილისის მოზარდ მაყურებელთა ქართულმა თეატრმა 7 ოქტომბერს გახსნა მიმდინარე 1956-57 წლის სეზონი. პირველ სპექტაკლადმაყურებლებმა ნახეს ახალი დადგმა — ო. გოლდსმიტის კომედია „ერთი ღამის შეცდომები“.

სპექტაკლი, რომელიც მომზადებულია თეატრის ახალგაზრდა შემოქმედებითი ძალების ინიციატივით, დადგა ახალგაზრდა რეჟისორმა, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულმა მ. ჯალიაშვილმა. მხატვრობა ეკუთვნის ი. ხუროშვილს, კომპოზიტორია ვ. კურტიდი. როლებს ასრულებენ ი. ელისაშვილი, ც. ქერეიშვილი, ლ. ძიგრაშვილი, ა. კიკალეიშვილი, ვ. ივანიძე, შ. ლორთქიფანიძე, რ. ხუციშვილი, ა. ფხალაძე, თ. ფარცხალაძე, დ. ბედენაშვილი, ს. რუსია და მ. ვაშაკიძე.

თერაპევტების XIV საკავშირო ყრილობა

საბჭოთა კარდიოლოგიამ უკანასკნელ ხანებში თავისი გამოკვლევებით გაამდიდრა მსოფლიო სამედიცინო მეცნიერება, რის საფუძველზეც დადგა ამ გამოკვლევების შეჯამების დრო. 7 ოქტომბერს ქალაქ მოსკოვში გაიხსნა თერაპევტების XIV საკავშირო ყრილობა, რომელიც ახალავს ათეროსკლეროზის და კორონალური ნაკლოვანების (გულის ანგინა, გულის კუნთის ინფარქტი) მნიშვნელოვან პრობლემებს.

ათეროსკლეროზის საერთო პრობლემებზე მოხსენებებს კითხულობენ აკადემიკოსები ნ. ნ. ანიჩკოვი და ა. ნ. მიასნიკოვი. კორონალური სისხლმიმოქცევის ნაკლოვანების საკითხზე მოხსენებებით გამოვლენ სსრ კავშირის სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები მ. ს. ვოვსი, ვ. ნ. ვინოგრადოვი, პროფესორი პ. ე. ლუკომსკი და სხვ.

ყრილობაზე აგრეთვე განხილულ იქნება ინფარქტის განვითარებაში კორონალური არტერიების ტრომბოზის როლის საკითხი.

ყრილობის მესამე საპროგრამო თემაა გულისცემისა-ძარღვების სისტემის დაავადების მკურნალობა არა მარტო სახელგანთქმულ „კარდიოლოგიურ“ კურორტებზე, როგორიც არის სოჭი-მაცესტა, კისლოვოდსკი და სხვ., არამედ ამ თვალსაზრისით ნაკლებად ცნობილ საბჭოთა კავშირის სხვა კურორტებზეც.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად ჩვენი სამშობლოს ყველა რესპუბლიკიდან მიწვეულია 1.500 დელეგატი და 50-ზე მეტი მეცნიერი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან.

საქართველოს რესპუბლიკამ ყრილობაზე გაგზავნა 51 დელეგატი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის საფაკულტეტო თერაპიის კათედრის გამგის, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი თერაპევტის ვ. ს. გერსამიას ხელმძღვანელობით.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან პროფესორები ვ. ანდღულაძე, მ. კანდელაკი, კ. ვირსალაძე, ი. ჯავახიშვილი, თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის თერაპიული კათედრის გამგე პროფესორი ი. ციხაძე, დოცენტი ლ. ანჯაფარიძე, ექიმები ზ. ზუბაშვილი, ზ. გოგიშვილი, ნ. ბერისაშვილი, გ. ჯობულია, აგრეთვე თერაპევტები საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან — სოხუმიდან, წყალტუბოდან, ქუთაისიდან, რუსთავიდან, ახალციხიდან, თელავიდან, ცხინვალიდან, ფოთიდან, ბათუმიდან და სტალინირიდან.

აღსანიშნავია, რომ დელეგაციის შემადგენლობაში შედიან მზარდი ახალგაზრდა თერაპევტები — თბილისის I საავადმყოფოს III თერაპიული განყოფილების გამგე ო. ლორთქიფანიძე, მე-5 პოლიკლინიკის ორდინატორი ქ. შუშანია, ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის თერაპიული კათედრის დოცენტი ვ. ქავთარაძე, კურორტოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი ნ. მგელაძე, სამედიცინო ინსტიტუტის ჰოსპიტალური თერაპიის კათედრის ასისტენტი ვ. წანამძღვრიშვილი და რუსთავიდან ორდინატორი მ. კობახიძე.

რ. იაშვილი.

სპორტის ფურცელი

ბ. ალიტალოვის სსრ ოსტატის ტურნირი

გუშინ მოსკოვის ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიმართა ა. ალიოხინის სსრ ოსტატის აღსანიშნავი საჯადოსო ტურნირის მეორე ტური.

საერთო ყურადღებას იპყრობდა მსოფლიოს ჩემპიონის ბოტვინიკისა და ამ წოდების პრეტენდენტის სმისლოვის პარტია. სმისლოვმა, რომელიც თეთრებით თამაშობდა, დასაწყისში უარესი პოზიცია მიიღო, მაგრამ შეჯიბრების დასაკვნით ნაწილში შეძლო მდგომარეობის გამოსწორება. პარტია გადაიდო თანაბარ მატერიალურ მდგომარეობაში.

წარმატებით იბრძოდა შაეებით გლიგორიჩი ჩოკილტიის წინააღმდეგ. 31-ე სვლაზე მან გამარჯვება მოიპოვა. საბჭოთა გროსმაისტერმა ტალმანოვმა დამარცხა პადეესკი. ბრონშტეინ-სლივას პარტია დამთავრდა ბრონშტეინის გამარჯვებით. გოლომბეკ-ულმანისა და პახმანშტალბერგის პარტიებში მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ. ნაიდორფ-უნციკერის, საბოკერესის პარტიები გადაიდო.

გუშინ მოეწყო პირველ ორ ტურში გადადებული პარტიების დამთავრება. დღეს გაიმართება მესამე ტური.

ორი ტურის შემდეგ წინ არის საბჭოთა გროსმაისტერი ტალმანოვი, რომელსაც 2 შესაძლებელდან 2 ქულა აქვს.

საერთაშორისო შეხვედრები ფეხბურთში

სსრ კავშირში სტუმრად იმყოფება ფინეთის ერთ-ერთი კლუბის — „ვაასას“ ფეხბურთელთა კოლექტივი. პირველი მატჩი ფინელმა ფეხბურთელებმა გამართეს 9 ოქტომბერს ივანოვოში ადგილობრივი ნაკრები გუნდის წინააღმდეგ. საბჭოთა სპორტსმენებმა შეჯიბრება მაღალ დონეზე ჩაატარეს და მოიგეს ასპარეზობა ანგარიშით 3:0.

* * *

მეორე საერთაშორისო ამხანაგური მატჩი ფეხბურთში მოსკოვის „დინამოს“ და თურქეთის ცნობილი კლუბის „ფენერ-ბახჩეს“ გუნდებს შორის გაიმართა 10 ოქტომბერს სტამბოლში. შეჯიბრება მოიგეს დინამოელებმა ანგარიშით 4:0.

საქართველოს მოჭიდავეთა წარმატება

მოსკოვში დამთავრდა შეჯიბრება ჭიდაობა სამბოში სასპორტო საზოგადოება „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდურ პირველობაზე. ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღეს მოსკოვისა და ლენინგრადის, აგრეთვე საქართველოსა და სხვა რესპუბლიკების სპორტსმენთა კოლექტივებმა.

პირად ასპარეზობაში საქართველოს მოჭიდავეებიდან წონითი კატეგორიის მიხედვით ჩემპიონები გახდნენ — ლ. კაციაშვილი, ზ. ჩიკვილაძე, ზ. მუხიაშვილი და თ. ელერდაშვილი.

გუნდურ ჩათვლაში საქართველოს მოჭიდავეთა კოლექტივმა პირველი ადგილი და გარდამავალი ჯილდო—თასი მოიპოვა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ მოსკოველი მოჭიდავეები, მესამეზე — ლენინგრადელი სპორტსმენები.

სსრ კავშირის პირველობაზე

„ბ“ კლასი

10 ოქტომბერს ერევანში გაიმართა „ბ“ კლასის მეორე ზონის გუნდების მორიგი შეხვედრა. თამაშობდნენ ბაქოს „ნეფტიანიკისა“ და ერევნის „სპარტაკის“ გუნდები. გაიმარჯვეს სპარტაკელებმა ანგარიშით 3:1. მორიგ შეხვედრას ერევნის „სპარტაკი“ გამართავს 14 ოქტომბერს თბილისში ადგილობრივი ოფიცერთა სახლის გუნდთან.

რედაქტორის მოადგილე
რ. ჟურაციკიძე.

იუგოსლავიის საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს სხდომა

ბელგრადი, 11 ოქტომბერი. (საკუთარი). 9 ოქტომბერს გაიმართა საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს სხდომა.

როგორც ტანიუგის სააგენტო იუწყება, საკავშირო აღმასრულებელმა ვეჩემ მიიღო გადაწყვეტილება ვოეოდინის ავტონომიურ მხარეში დუნაი-ტისა-დუნაის ჰიდროსისტემის მშენებლობის შესახებ. არხების საერთო სიგრძე იქნება 250 კილომეტრზე მეტი. დუნაი-ტისა-დუნაის ჰიდროსისტემის არხების ქსელის მშენებლობა, რომელიც ორ ეტაპად განხორციელდება თვითეული ხუთი წლის განმავლობაში, უზრუნველყოფს იუგოსლავიის ამ ნაყოფიერი მხარის მიწების მელიორაციას.

მიღებულია აგრეთვე გადაწყვეტილება, რომ ჩერნოგორიაში, ნიკშიჩ-ტიტოგრადის რაიონში, აშენდეს პირველი ალუმინის კომბინატი, რომლის სიმძლავრე იქნება წელიწადში 100 ათასი ტონა ალუმინი. კომბინატის მშენებლობა დაიწყება უახლოეს დროში და დამთავრდება 1962 წლის 1 იანვარს. ტანიუგის სააგენტო აღნიშნავს, რომ კომბინატის მშენებლობის დაფინანსება, ელექტროსადგურებისა და სხვა მეზობელ საწარმოთა აგება იწარმოებს ამ კრედიტით, რომელიც იუგოსლავიას მისცეს საბჭოთა კავშირმა და გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ წლიური 2 პროცენტის ანგარიშით.

პირველი ალუმინის კომბინატის მშენებლობა, ხაზგასმით აღნიშნავს ტანიუგი, დასაბამს აძლევს იუგოსლავიის მრეწველობის ახალი დარგის — წელიწადში 265 ათასი ტონა სიმძლავრის ალუმინის დარგის შექმნას, რაც გათვალისწინებულია პერსპექტიული გეგმით.

საკავშირო აღმასრულებელი ვეჩის სხდომაზე აგრეთვე აღინიშნა, რომ ამჟამად წარმოებს მოლაპარაკება დასავლეთისა და სხვა სახელმწიფოებთან პირველ რიგში მოსტარის რაიონსა და სპლიტ-ბიბენიკის რაიონში მთელი რიგი საწარმოების მშენებლობის შესახებ.

წინასაარჩევნო კამპანია ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 10 ოქტომბერი. (საკუთარი). პრეზიდენტის პოსტის კანდიდატი დემოკრატიული პარტიისაგან ედლაი სტივენსონი განაგრძობს თავის წინასაარჩევნო მოგზაურობას შეერთებულ შტატებში. პრესის ცნობების თანახმად, მან გუშინ სიეტლში (ვაშინგტონის შტატი) წარმოთქვა სიტყვა, მიძღვნილი ატომის ენერგიის საკითხებისადმი. სტივენსონმა, კერძოდ, განაცხადა, რომ მისმა წინადადებებმა „შეიზღუდოს ატომის ენერგიის გამოყენება სამხედრო მიზნებისათვის... პასუხად გამოიწვიეს რესპუბლიკური პარტიის პოლიტიკური მოღვაწეების, მათ შორის პრეზიდენტის, მხოლოდ დაცინვა, აგრეთვე გადაკრული სიტყვები, რომ ამაზე ლაპარაკიც კი ძირს უთხრის ჩვენი ქვეყნის უშიშროებას“.

მაგრამ სტივენსონმა შემდეგ თქვა, რომ იგი არ ილაშქრებს წყალბადის იარაღზე მუშაობის განგრძობის პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც დასაბამი მისცა პრეზიდენტმა ტრუმენმა. „მაგრამ ვერ დავეთანხმები, — დასძინა მან,— მთავრობის აშკარა აზრს, რომ ჩვენ ვერაფერს ვერ გავაკეთებთ იმისათვის, რომ აღვკვეთოთ ეს უგუნური გამალებული შეიარაღება“.

შეეხო რა მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენებას, სტივენსონმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები „ზიარებენ ინგლისელებს და ალბათ რუსებსაც დიდი ატომის სადგურების მშენებლობის საქმეში“.

სტივენსონმა თქვა, რომ „ეიზენჰაუერის მთავრობა მზად არ არის და, ცხადია, არ ემზადება შეასრულოს მშვიდობის საქმისათვის ატომის გამოყენების პროგრამა, რომელიც მან მთელი მსოფლიოს წინაშე იკისრა“.

იმავე დღეს მიტინგზე პიტსბურგში სიტყვა წარმოთქვა პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა. პრესის ცნობების თანახმად, მან კვლავ უარყო სტივენსონის წინადადება ატომგულის იარაღის საცდელ აფეთქებათა შეწყვეტისა და სამხედრო ბეგრის გაუქმების შესახებ.

ანგარიშს უწევს რა ამერიკელ ხალხში ფართოდ გავრცელებულ მისწრაფებას მშვიდობისადმი, ეიზენჰაუერმა თავის სიტყვაში განაცხადა, რომ „შეერთებულ შტატებში არავინ არ ილაშქრებს მშვიდობის წინააღმდეგ, რა პოლიტიკურ პარტიასაც უნდა ეკუთვნოდეს იგი“. მაგრამ დასძინა, რომ „მშვიდობის დაცვისათვის ბრძოლა“ ძალას მოითხოვს.

ეიზენჰაუერის სიტყვით, მთავრობა „სრულყოფს“ ამერიკის სამხედრო ძლიერებას „მხოლოდ იმიტომ, რომ ამერიკას უყვარს მშვიდობა“.

სამხედრო ბეგრის გაუქმების თაობაზე სტივენსონის წინადადების შესახებ ეიზენჰაუერმა განაცხადა, რომ „ეს არ არის საკითხი პოლიტიკური დისკუსიისათვის“, არამედ „ჩვენი ქვეყნის უშიშროების საკითხია... იმიტომ, რომ ჩვენ ვერ მოვუწოდებთ ჩვენს მოკავშირეებს მთელ მსოფლიოში შეიარაღდნენ იმ დროს, როცა ჩვენ იარაღს ვყრით“.

ოფიციალური ცხრილი

საქართველოს სსრ შემნახველ სალაროებში მოთავსებული მომგებიანი ანაბრების მოგებათა 28-ე ტირაჟისა, რომელიც გაიმართა 1956 წლის 8 ოქტომბერს ქ. რუსთავში.

მოგება ხვდა ანგარიშების შემდეგ ნომრებს:

ანგარიშის №	მოგების ოდენობა პროცენტობით ანაბრის საშუალო თანხასთან	ანგარიშის №	მოგების ოდენობა პროცენტობით ანაბრის საშუალო თანხასთან
16	25%	528	25%
64	25%	561	25%
104	25%	612	200%
145	25%	645	25%
190	25%	698	50%
225	50%	731	25%
261	25%	793	100%
289	25%	816	25%
332	25%	840	25%
380	25%	905	25%
413	25%	926	25%
469	100%	991	25%
515	25%		

შემნახველ სალაროებში, სადაც ანგარიშების რიცხვი ათასზე მეტია, მოგება ყველა მომდევნო ათასეულში ხვდა იმავე ანგარიშებს, რომლებიც პირველ ათასეულშია, ე. ი. 1016, 2016, 3016... 1064, 2064, 3064... და ა. შ.

ხატირაჟო კომისიის თავმჯდომარე — მშრომელთა დეპუტატების რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ს. რაზმაძე.
ხატირაჟო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — საქ. სსრ სახშრომშემსახლაროების და სახკრედიტის სამმართველოს უფროსის მოადგილე ა. ლომთაძე.
სახელმწიფო კრედიტისა და საშემნახველო საქმის ხელშემწყობი კომისიის წარმომადგენელი ე. მარკოზაშვილი.
ხატირაჟო კომისიის პასუხისმგებელი მდივანი—საქართველოს სსრ სახშრომშემსახლაროების და სახკრედიტის სამმართველოს ოპერატიული განყოფილების უფროსი ა. შტეინბერგი.

საქართველოს რადიოს გადაცემათა პროგრამა 13 ოქტომბრისათვის

პირველი პროგრამით

რადიოსადგურებით 1571 და 59,52 მეტრ ტალღებზე, აგრეთვე თბილისის საქალაქო ქსელით

06.30 — საბჭოთა კავშირის ხალხთა სიმღერები, 07.35 — „პიონერთა დაფიონი“, 12.15 — პიესები ხალხურ საკრავთა ორკესტრისათვის, 12.45 — ნაწყვეტები ქართველ კომპოზიტორთა ოპერებიდან, 17.20 — ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები. 17.45 — გადმოცემა ახალგაზრდობისათვის. 18.15— გადმოცემა უმცროსი ასაკის მოსწავლეთათვის ციკლიდან: „ახალი წიგნები“, 19.20 — კონცერტი რადიომსმენელთა დაკვეთით, 20.30 — ქართული ხალხური სიმღერები.

რადიოსადგურით 1571 მეტრ ტალღაზე და თბილისის საქალაქო ქსელით

21.00 — გ. რომანოვის კონცერტის ტრანსლაცია საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო თეატრიდან.

მეორე პროგრამით

რადიოსადგურით 59.52 მეტრ ტალღაზე

21.00 — ლიტერატურული გადმოცემა: ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვ“-ის ფურცლებზე, 21.30—დონეცკის ოპერეტის „თეთრი აკაციის“ მონტაჟი.

რადიოსადგურით 66,08 მეტრ ტალღაზე

11.00 — გაზეთ „სოვეტაკან ვრასტანის“ მიმოხილვა, 18.15 — 19.00—გადმოცემები სომხურ ენაზე.

20.30 — 21 — გადმოცემები აზერბაიჯანულ ენაზე.

ისარგებლეთ საქალაქთაშორისო ტელეფონის კავშირით

თბილისის საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგური აწარმოებს საქალაქთაშორისო ტელეფონით დაკავშირებას საბჭოთა კავშირის ყველა ქალაქთან და დასახლებულ პუნქტთან. ტელეფონით დაკავშირება შეიძლება აგრეთვე საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყნებთან, როგორიც არის: ავსტრია, ინგლისი, ბელგია, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ჰოლანდია, დანია, იტალია, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა, ნორვეგია, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკა, ამერიკის შეერთებული შტატები, ფინეთი, საფრანგეთი, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკა, შვეიცარია, შვეცია, ინდოეთი, იუგოსლავია და სხვ.

მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან 21 საათიდან 24 საათამდე ტელეფონით ლაპარაკი აზაზეგთან, დუშეთთან, ხაშურთან, სურამთან, ქარელთან, აგარასთან, ფასანაურთან, მცხეთასთან, კასპთან, ახმეტასთან, ბოლნისთან, მარნეულთან, რუსთავთან, გორდასანთან, წალკასთან, თიანეთთან, თელავთან, ყვარელთან, წითელწყაროსთან, გურჯაანთან, დარიალთან წარმოებს ფასის 25%-ის დაკლებით.

ლაპარაკი ღამის 0 საათიდან დილის 7 საათამდე წარმოებს ფასის 50%-ის დაკლებით.

შეკვეთები მიიღება დღე-ღამის განმავლობაში ტელეფონით № 07.

ლაპარაკი შეიძლება

1. წინასწარ შეტანილი ავანსებით — საწარმოებისა და დაწესებულებების ტელეფონებით.
2. ნისიად — ბინის ტელეფონით.
3. წინასწარ შეძენილი ტალონებით — ყველა ტელეფონით, გარდა ტელეფონ-ტაქსოფონისა.
4. ნაღდი ანგარიშით — ყველა სალაპარაკო პუნქტიდან.

ტალონები იყიდება კავშირგაბმულობის ყველა განყოფილებაში, სალაპარაკო პუნქტებში და სასტუმროებში განუსაზღვრელი რაოდენობით და ლაპარაკის განუსაზღვრელი ხანგრძლივობით. ტალონების მოქმედება ვადა 30 დღეა.

ნისიად ლაპარაკის საფასურის შეტანა შეიძლება კავშირგაბმულობის ყველა განყოფილებაში.

თბილისის მთავარი საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურის დირექცია.

დღეს

თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის—გორდა, **რუსთაველის სახელობის** — საქმიანი კაცი, **მარჯანიშვილის სახელობის** — გამოქცეული, **გრიბოედოვის სახელობის** — შემთხვევითი შეხვედრები, **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — უცნაური დანაკარგი (10 ს.), **სომხური დრამის** — კამო, **ფილარმონია** — გ. რომანოვის კონცერტი (საზაფხულო თეატრი, 9 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, **ამირანი** (საზამთრო), **ისანი** (საზამთრო), **პლეხანოვის სახელობის კლუბი**, **ფილარმონიის ბაღი** — ფრთები, **ამირანი** (საზაფხულო), **ოქტომბერი, სპარტაკი, თბილისი, 26 კომისრის სახელობის** (საზამთრო), **კომუნარების ბაღი** — სხვადასხვა ბ